ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 24 აპრილი, 2013 | №96 (6097) | ფასი: 30 თეთრი

25 აპრილიდან
„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 2
ჩეხური ზღაპრები
6 ლარი




# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილის გარეშე რუსეთს საქართველოში აგრესიის განხორციელება გაუჭირდებოდა“

რატომ შერცხვათ ნაციონალებს პრემიერის გამოსვლის გამო




გვ.3



გვ.5

## გია ხუხაშვილი: „კობა დავითაშვილი გუნდური მოთამაშე არ არის“

## ინტერპოლის მიერ ძებნილი პირები დააკავეს გვ.2

## არასამთავრობოები კალაძეს არაკორექტულობას სდებენ ბრალად



მოხევეები ხდის ხეობის გადარჩენას პატრიარქს სთხოვენ გვ.6



## დატოვეს თუ არა დავით ტყეშელაშვილმა და დავით კირკიტაძემ ნაცმოძრაობა

გვ.4



## ბზის ქრაზე კონტროლი მკაცრდება გვ.2

## მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს ვეტო დაადო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს ვეტო დაადო. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალმა უფროსმა ანდრო ბარნოვმა განაცხადა, „მიხეილ სააკაშვილმა გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება და ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს, რომლის პირველი საკითხი შეეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებასა და საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტას".

რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც პრეზიდენტი ასევე ვეტოს უფლებას იყენებს, მისი თქმით, საუბარია ბრალდებულის უფლების შეზღუდვაზე, თავად აირჩიოს, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ თუ მის გარეშე.

ფრონტ-ნიუსი



17 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ლეონარდო და ვინჩი
8 ლარი




ISSN 1987-9385

2 ორი ნაგავსაყრელი ქუთაისში

5 სახელმწიფოს პარლამენტის ქუთაისში გადატანა ნახევარი მილიონი ლარი უჯდება

2 „სითი პარკს“ მერიასთან კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ

4 დავით ნარმანიამ პირველი კვარტალის მუშაობა შეაჯამა

## ინტერპოლის მიერ ძებნილი პირები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნაში მყოფი ორი მოქალაქე – ელგუჯა ხუდაშვილი და გულშატ საფაროვა დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ისრაელის მოქალაქე, 1961 წელს დაბადებული ელგუჯა ხუდაშვილი შეაჩერეს.

აღნიშნული პიროვნება პარიზის ინტერპოლის მიერ, 2008 წლიდან იძებნებოდა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 441-6-ე, 441-10-ე, 441-11-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, აგრეთვე საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის და საბაჟოს შესახებ კანონის დარღვევისთვის (კონტრაბანდული საქონლის ფლობა და იმპორტი, აკრძალული, არადეკლარირებული საქონლის იმპორტი, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად ყალბი სავაჭრო მარკის საქონლის ფლობა, იმპორტი და გაყიდვა).

მეორე მოქალაქის დაკავება კი სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოხდა, სადაც თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, აშხაბადის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში მყოფი თურქმენეთის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული გულშატ საფაროვა დააკავეს.

აღნიშნულ პიროვნებაზე აშხაბადის ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნა 2013 წლის 28 მარტს გამოცხადდა. მას ბრალად თურქმენეთის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე, 141-ე და 142-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა ედება, რაც პროსტიტუციაში ჩაბმას, სუტენიორობას და პროსტიტუციაში შუამავლობას გულისხმობს. მან თურქმენეთის მოქალაქე ორი გოგონა თურქეთში ჩაიყვანა, სადაც ისინი პროსტიტუციაში ჩააბეს და აიძულებდნენ სექსუალური მომსახურება გაეწიათ, გამომუშავებულ თანხებს კი საკუთარი მიზნებისთვის ითვისებდა.

ორივე დაკავებული დროებითი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. ამჟამად მათ მიმართ საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საარტილერიო ქვედანაყოფების სწავლება გაიმართა

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დღეს, საჩვენებელი საარტილერიო სწავლება გაიმართა. არტილერიის წვრთნას, გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე, გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე და სხვა მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ.

თავდაცვის სამნისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადების ორგანიზების სწავლება, ინსტრუქტორ-შემფასებელთა ჯგუფის გადამზადებას გულისხმობდა. 19 ქართველი ოფიცერი, წვრთნებს ორი კვირის მანძილზე გადიოდა. ქართველ არტილერისტებს ამერიკელი ინსტრუქტორები ამზადებდნენ.

საარტილერიო სწავლება ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი კვირის განმავლობაში სწავლებაში ჩართულმა ოფიცრებმა თეორიული მომზადება გაიარეს. წვრთნების მეორე ფაზაში კი პრაქტიკული საველე ამოცანები დაიგეგმა. საარტილერიო სწავლება ხვალ დასრულდება და მასში ჩართულ ოფიცრებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ.

ნიუსპრესი

# ორი ნაგავსაყრელი ქუთაისში

**როლანდ ხოჯანაშვილი**

*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

ქუთაისში როცა პარლამენტის შენობა საზამთროსავით წამოაგორეს (მაპატიეთ, ააშენეს!), გამეორდედაქალაქებულში სასწრაფოდ დააპროგნოზეს: სიმონ, ქუთაისში ნიკეაზე ხო გვქონდა ერთი ნაგავსაყრელი, ახლა ბიტონის ზაოდთან მეორე გვექნება და რაღა გვიჭირსო. ეს მეორე ნაგავსაყრელი მწარეენიანი იმერლებისთვის, არ გაგიკვირდეთ, პარლამენტის შენობაა. კონტექსტურად, უწმინდური ძველი ჩინოვნიკის გულივითო, – უთქვამს ილიას. უწმინდურების ადგილი კი ჯოჯხეთში ან ნაგავსაყრელზეა.

ტყუილუბრალო იმედი, თითქოს ქუთაისს ააყვავებდა პარლამენტის იქ გადატანა, ისეთივე ბლეფი აღმოჩნდა, როგორც არაერთი ამქვეყნად ნათქვამი პოლიტიკოსებისა. საერთოდ, ნაცარქიტექტურა იმდენად უაზრობას მოიცავდა, ნამდვილად უნდა აგოს პასუხი იმ გადაყრილ მილიონებზე, საქართველოს ბიუჯეტიდან რომ გაიხარჯა უმიზნოდ. ჭაჭის და ანბანის თაუერები, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პარლამენტის შენობა ჯამში იმდენი ხარჯი იყო, რომელიც ასეულობით ოჯახს სამუდამოდ მოუხსნიდა ბინის პრობლემას.

ამჯერად ბათუმს არ ვეხებით, მაინც ბევრჯერ მოაქიაქეს მისი ბოლოდროინდელი სამშენებლო „მიღწევები“ და ქუთაისს მივუბრუნდეთ. ვინც ქუთაისს საფუძვლიანად იცნობს, ის მხოლოდ სავარდო და სამაისო ქალაქი არაა. არც მხოლოდ განახლებული ცენტრალური უბნები და ბაგრატის ტაძარი. რიონის ხეობის ქარისაგან აფრიალებული მსუბუქი ნაგავი რეაქტიული სიჩქარით გადადის ადგილიდან ადგილზე, მერე დაფხრეწილ ცელოფნებს, პოლიეთილენის დაჭეჭყილ ბოთლებს სადმე მიამყუდროებს და უპატრონო მიცვალებულივით დაასვენებს.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ნიკეას დასახლების ბოლოს არსებული ნაგავსაყრელი, დარწმუნდება, რომ ქუთაისს პარლამენტი კი არა, ნაგავსაყრელის მოწესრიგება უფრო სჭირდება. ნაგავსაყრელის მოპირისპირე მხარეზე სასაფლაოა და მიცვალებულთა მეპატრონენი ამაოდ ცდილობენ გზის მეორე მხრიდან გადმოტანილი ათასგვარი სიბინძურის მოცილებას, ქარს არ ეზარება არც ცუდსურნელების და არც ათასგვარი ნაგვის გადატან-გადმოტანა. ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო, ნათქვამია, მაგრამ ანტისანიტარიის ატანა სიდიდით მეორე ქალაქში ადვილი არ არის. ისე, პარლამენტის ახლოს ჩამოედინება პატარა მდინარე ოღასკურა და ერთხელ თუ მაინც ჩაუხედავთ ქართველ პარლამენტარებს მის ხეობაში?! აი, ეგ პატარა მდინარე ისეთი რამეების მიმტევია, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს რომ არ მიეტევება.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ქუთაისში პარლამენტის გადატანას არავითარი სარგებელი არ მოუტანია ადგილობრივებისათვის. არ გეგონოთ, რომ პარლამენტის გადატანას ვდარდობდე თბილისიდან ან მის უკან მიბრუნებას. როცა ქვეყნის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს უმუშევრობა, ავადმყოფობა და შიმშილი აწუხებს, რას დაარბენინებენ ფრიად პატივცემულ ხალხის რჩეულებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა?! სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას სამი დედაქალაქი აქვს, მაგრამ ამ სახელმწიფოსაც კი შევნატრით ახლა ქართველები. აპარტეიდა და რასობრივი დისკრიმინაცია ახლახან მოიცილეს და ისეთი წინსვლა აქვთ, ნეგროიდებს თეთრი შურით ვუყურებ. ნურავინ იტყვის, რომ მაგ რესპუბლიკას ოქრო და ალმასი თავზე საყრელად



აქვს, მაგით მოიბრუნეს სულიო. ჩვენც გვაქვს ქვა და კაკალი, მაგრამ კაკლით ქვის გატეხვას გვაიძულებენ და არა პირიქით!

გასულ წელს ქუთაისში „ქართული ოცნების“ აქციაზე რეპორტაჟის გასაკეთებლად წაველი, ფოტოაპარატს ვაჩხაკუნებდი, თან მალულად სიხარულის ცრემლებს ვიწმენდდი (შემამჩნია კიდეც მეგობარმა ჟურნალისტმა), ეშველა ჩვენს ქუთაისს, ნაციონალები წავლენ და საოცნებო ქუთაისს ვიხილავ-მეთქი. საოცნებო ქუთაისი ჯერ ისევ პერსპექტივაა. სად სცალიათ ჯერ დაპირებების ასრულებისთვის ვინმეს, ჯერ კოჰაბიტაცია და მერე დანარჩენი ყველაფერი! მთავარია, მახვილი სიტყვებით განუგმირონ გული ერთმანეთს ოპონენტებმა, თორემ ისე კოჰაბიტირებენ, ლამის გულში ჩაიხუტონ წინასაარჩევნო პერიოდში დანამოსისხლედ გადაკიდებულმა პოლიტიკურმა ძალებმა ერთმანეთი.

რას დაპირდა „ოცნება“ ქუთუთურებს, ამაზე მოკლედ მოგიჭრით პასუხს: ბედნიერ ცხოვრებას.

პრემიერ ივანიშვილს ჩემმა ნაცნობმა ჟურნალისტმა დაუსვა კითხვა: პარლამენტის ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადატანის სანაცვლოდ, ახალი ხელისუფლების მიერ იგეგმება თუ არა ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების მიზნით რაიმე სხვა სახის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, თუნდაც გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოს შექმნა, ანდა ზოგადად საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარება?

რეგიონული განვითარების სამინისტროს პასუხი ასეთი გახლდათ: ქუთაისის ნაგავსაყრელი მოეწყობა და შემოიღობება, ასევე შიდა გზების რეაბილიტაცია გაგრძელდება. ისე, ცნობისათვის, მინდა ვთქვა, ჯერ არ მახსენდება არჩევნების პერიოდი, როცა ქუთაისლებს არ დაჰპირებოდნენ ნაგავსაყრელის მოწესრიგებას, მაგრამ ანტისანიტარიის ეს ბუდე კვლავ რჩება ქუთაისის ავგიას თავლად, რომლის გამწმენდი ჰერაკლე ვერა და ვერ გამოჩნდა. ქალაქის მეთაურები ავგურების ღიმილით მუდმივი დაპირებებით აიმედებენ ხალხს: გვაცადეთ, ბატონო, ამოვისუნთქებთ და მივხედავთ საქმესო, მაგრამ წინდებივით ხშირად გამოცვლილმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ თუ რამე გააკეთა ქალაქის სანიტარული მოწესრიგებისათვის, მოგვხსენებოდა ერთხელ მაინც.

რას აკეთებდნენ აქამდე ხმაურით და რენეგატობით ცნობილი ადგილობრივი ხელისუფლება, ნამდვილად საკითხავია. ჰო, სხვა რა აღარ არის საკითხავი ამ ქვეყანაში, ეგ რომ არ იყოს კიდევ?! ნაგავსაყრელის მოწესრიგება კი არა, თავად მერიის შენობის ტუალეტები ისე ყარს, შესვლის აუცილებლობა რომ არა, ქუდიც რომ შეუგდო ადამიანს, ისე იქ ფეხს რა დაადგმევინებსო. ფოტომასალა მაქვს ნანახი მერიის ტუალეტის, პირადად არ შევსულვარ ქუთაისის მერიაში (მეშინია, რენეგატიზმი არ გადამედოს ამ ქრონიკულად უპარტიო ადამიანს) და ავი ენები ამბობენ, საქმიანი დოკუმენტაციაც არის რბილი ადგილების გამოსასუფთავებლად გამოყენებულიო. ეგ არ არის იმდენად სადარდებელი, ქალაქის ბიუჯეტზე მიწურბელებული ჩინოვნიკი აიტანს ამბრის სურნელებას, მაგრამ ან მოსახლეობამ რა დააშავა, ან იმ პირუტყვმა, ნიკეას ქუჩის გასწვრივ რომ უწევს არსებობა?!

სანაგვის მოწესრიგება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ KFW-ს მხარდაჭერით იკისრაო. ეს KFW ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ორგანიზაციაა მსგავსი პროექტების დაფინანსების სფეროში და იქნებ ოდესმე მოგვარდეს მოუგვარებლად აღიარებული ნაგავსაყრელის პრობლემა.

ისე, არც „ოცნებას“ დააკლებენ ხელს მალე ადამიანები და დაიძახებენ: მოწესრიგებული ნაგავსაყრელი ვჭამოთ თუ ასფალტით ამოვივსოთ კუჭიო. ქუთაისი ქალაქია ინდუსტრიის მშენებელიო. ინდუსტრიას თუ არა, ეგებ სხვა სფეროს მაინც მიხედოს ვინმემ და არ დასჭირდეთ ადამიანებს ლიჭინი: მამიტეხე ყველი, მოგიტეხავ ჭადსა!

თუ მაინცდამაინც პარლამენტის გადატანაზე კიდევ ატყდება დავიდარაბა, წაიღეთ, არავინ გამოგედევნებათ, ძლიერნო, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს თუ მიხედავთ, ლოცვა-კურთხევას მიიღებთ, თუ არადა, ქუთაისის ბაღისკიდელების ყბაში(ანუ ანეკდოტში) საშვილიშვილოდ მოხვდებით და არ არის ეგ, ბიძიკო, კარგი!

## გამოკითხულთა უმრავლესობა დათა ახალაიას განცხადებას „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევის დასაწყისად აფასებს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 16 აპრილიდან 23 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, კუდ-ის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას მიერ, გასულ კვირაში გავრცელებულ განცხადებას, „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევის დასაწყისად აფასებს.

კითხვაზე – „როგორ შეაფასებდით დათა ახალაიას მიერ სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელებულ განცხადებას“, 42,6 პროცენტმა უპასუხა, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევის დასაწყისია, 38, 9 პროცენტის აზრით, ეს განცხადება თვითგადარჩენის მცდელობაა, ხოლო 13 პროცენტი მიიჩნევს, რომ ახალაიას განცხადება განაწყენებული ადამიანის რეაქცია იყო.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 5,5 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## „სითი პარკს“ მერიასთან კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი ჯაბა სამუშია, „სითი პარკსა“ და მერიას შორის დადებული ხელშეკრულებისა და აღნიშნული კომპანიის მიერ 5 წლის განმავლობაში შესრულებული ვალდებულებების გასაჯაროებას ითხოვს.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გუშინ „სითი პარკის“ გაფიცულ თანამშრომლებთან შეხვედრისას განაცხადა, აღნიშნულ კომპანიას წლიურად 25 მილიონამდე მოგება აქვს, ქალაქის ინფრასტრუქტურისა და თანამშრომლების სოციალური პირობების გაუმჯობესება კი მას მილიონამდე ლარი უჯდება.

„5 წლის წინ ქალაქის მერი და სხვა მაღალჩინოსნები გვიმტკიცებდნენ, რომ ამ კომპანიის შემოყვანა პარკირებისთვის ახალი ინფრასტრუქტურისა და მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობას ისახავდა მიზნად, თუმცა „სითი პარკმა“ არათუ შეასრულა აღნიშნული ვალდებულებები, არამედ სარგებლობს ქალაქში მოწყობილი ავტოსადგომებით და ჯიბეს ისქელებს.

მოვუწოდებ „სითი პარკის“ ხელმძღვანელობას, პირველ რიგში მოახდინოს თავისი თანამშრომლების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასწრაფოდ გასაჯაროვდეს ის ხელშეკრულება და პირობები, რომლის მიხედვითაც „სითი პარკის „ ქართულ ბაზარზე შემოყვანა მოხდა.

სრულიად ლეგიტიმური ეჭვი გვაქვს იმისა, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ კორუფციულ გარიგებასთან ქალაქის მერიასა და ამ ორგანიზაციას შორის“ – განაცხადა სამუშიამ.

„სითი პარკის“ ევაკუაციის სამასახურის გაფიცული თანამშრომლბის განმარტებით კი, კომპანია მათ არაკეთილსინდისიერ მუშაობას ავალდებულებს და ამიტომ ისინი ფიქსირებულ ხელფასს მოითხოვენ.

ნიუსპრესი

## პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ნარკოდანაშაულისთვის, 1989 წელს დაბადებული ირაკლი ღ. და 1984 წელს დაბადებული ლევან ვ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ბრალდებულები კაზინო „შანგრილა“-ს ტერიტორიაზე დააკავეს. ლევან ვ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 205 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ამოიღეს. ირაკლი ღ-ს პირადი ჩხრეკისას კი 15 აბი იგივე ნარკოტიკული საშუალება იქნა აღმოჩენილი, მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი, „მაკაროვი“-ს ტიპის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ორივე ბრალდებული დაკავების მომენტში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ირაკლი ღ-ს მიმართ საქართველოს სსკ ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა) და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ცეცხლსასროლო იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა), ხოლო ლევან ვ-მიმართ 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა) „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვეიშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილის გარეშე რუსეთს საქართველოში აგრესიის განხორციელება გაუჭირდებოდა“

შორენა მარსაგიშვილი

## რატომ შერცხვათ ნაციონალებს პრემიერის გამოსვლის გამო

**მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა 23 აპრილის დადგომას. ამ დღეს საქართველოს პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს სხდომაზე სიტყვით უნდა გამოსულიყო. მეოცნებეები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაგვპირდნენ, გამოსვლა იქნება ძალიან მაგარიო, გვითხრეს, გამოვა ბიძინა და მიხვდებით, თუ როგორ უნდა გამოვიდეს სიტყვით ქვეყნის ლიდერიო.**

ბიძინამდე რამდენიმე თვით ადრე ევროსაბჭოს ტრიბუნაზე მიხეილ სააკაშვილი გადმოდგა. თავის გამოსვლაში მან ქვეყანაც გამოლანძღა და ახალი მთავრობაც შემოეკრიტიკა.

თავის გამოსვლებში ივანიშვილს ანეკდოტების მოყოლა ახასიათებს. ნაციონალები წუხდნენ, ემანდ ევროსაბჭოშიც არ მოყვეს ანეკდოტიო. ანეკდოტი პრემიერს არ მოუყოლია, მაგრამ ნაციონალებმა მაინც გამოჩხრიკეს სალადაო თემები. ჩიორა თაქთაქიშვილს კი ივანიშვილის გამოსვლის გამო შერცხვა.

ივანიშვილმა გამოსვლა ფრანგულ ენაზე დაიწყო, რის შემდეგაც ევროპარლამენტარებს უკვე ქართულ ენაზე მიმართა.

– ჩემი ქვეყნისათვის თქვენს რიგებში ყოფნა ძალიან საამაყოა. ჩვენ გვიან შევუერთდით ევროპის თავისუფლებისმოყვარე თანამოაზრეთა ჯგუფს და კარგად ვიცით, რომ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ჩვენი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაცემის პრეცედენტი გახდა. სწორედ ამის გამო ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე გამოსვლისას. კარგად ვიცი, რომ დემოკრატიული მართვის გამოცდილება გვაკლია. როდესაც შინ, ჩვენს ოპონენტებთან ვკამათობთ, მაშინ ყველაზე კარგად ჩანს, რამდენად გვაკლია პოლიტიკური დებატების გამოცდილება, რამდენად რთულია, შეწყვიტო კამათი და ენდო მეორე მხარის კეთილ ნებას. თქვენთვის, ბუნებრივია, ძნელია ამის გაგება. იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგას, თავისი ახსნა აქვს. ჩვენმა ქვეყანამ საკმაოდ ძნელი გზა გამოიარა თავისი ისტორიის განმავლობაში. ჩვენ რთულ რეგიონში ვცხოვრობთ. გლობალიზებული მსოფლიოს უამრავი გამოწვევა და პრობლემა ჩვენც გვეხება და სწორედ ამიტომ გვჭირდება თქვენი დახმარება, ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც მეგზურობას გაგვიწევენ ამ გარდამავალ პერიოდში, – მიმართა ივანიშვილმა ევროპარლამენტარებს.

ევროპელებს ივანიშვილმა საქართველოში ნაციონალების ზეობის ხანაზეც უთხრა ერთი-ორი სიტყვა.

– საქართველოში ბოლო წლებში, პრაქტიკულად, ყველა სფერო მმართველი ელიტის კონტროლქვეშ იყო, აბუჩად იყო აგდებული ქვეყნის უმთავრესი კანონი – კონსტიტუცია და ის, ფაქტობრივად, ერთი ადამიანის ამბიციებს იყო მორგებული; ელიტური კორუფცია ბიზნესის განვითარების არავითარ საშუალებას არ იძლეოდა; იგნორირებული იყო ადამიანის უფლებები; ზეწოლა ხდებოდა არა მხოლოდ განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე; მედია თითქმის სრულად იყო კონტროლირებადი. ჩვენ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც მოქალაქეებს დაუბრუნებს ღირსების გრძნობას, მოუშუშებს იარებს და გაუნელებს რისხვას. ეს კი გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისათვის წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისგებაში მიცემას ყველა სათანადო სამართლებრივი პროცედურის სრული დაცვით, მაგრამ გულისხმობს იმასაც, რომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის ათასობით საქმის ერთგული საჯარო მოხელე, რომელიც წინა ხელისუფლების დროს მსახურობდა. ჩვენი მხრივ კი, ძალას არ დავიშურებთ, რომ ყველა ჩვენი სტრატეგია სრულიად გამჭვირვალე იყოს და ხელი შევუწყოთ დასავლური მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას საქართველოში. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ბევრი საპარლამენტო დელეგაცია ეწვევა და თავად დარწმუნდება ჩვენი მოქმედებების სისწორეში, – დადო პირობა პრემიერმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ივანიშვილმა გვერდი ვერც აგვისტოს ომს აუარა. ახალი ხელისუფლება ამ ომის გამოძიებას აპირებს. ამის გამო მთელი ნაცმოძი დეპრესიაშია ჩავარდნილი. პრემიერმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზეც ისაუბრა.

– ყველას კარგად მოეხსენება, რომ ომის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს, რადგან მცირე ქვეყნების წინააღმდეგ კვლავაც ხორციელდება აგრესია. ამის ნათელი მაგალითია ჩემი ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი 2008 წელს რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული. სამწუხაროდ, კიდევ არსებობს კონფლიქტების საშიშროება ჩვენს რეგიონში. უნდა აღვნიშნო, რომ კავკასია ჯერ კიდევ არ არის მშვიდობის ზონა. ჩვენ განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ჩვენ უნდა წარვმართოთ დიალოგი რუსეთთან, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელი სახელმწიფოა. ახალი პრაგმატული მიდგომით დავიწყეთ ორმხრივი დიალოგი რუსეთთან, რუსულ ბაზარზე ვაბრუნებთ ქართულ პროდუქციას. რუსეთის მიმართ ჩვენი პოზიცია იქნება კორექტული, მაგრამ პრინციპული. რუსეთთან ურთიერთობაში ჩემი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა იმის დემონსტრირებაა, რომ ჩვენ მზად ვართ ახალი ურთიერთობისთვის. ჩვენ ორივე მხარეს გვაქვს ჩვენი წითელი ხაზები, რომლის გადაკვეთას არ ვაპირებთ. 2010 წელს საქართველომ ცალმხრივად აიღო კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, რაც 2013 წლის 7 მარტს გაამყარა საპარლამენტო რეზოლუციით. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი მოლაპარაკების ერთადერთი ერთაშორისო მექანიზმია, სადაც ქართველი და რუსი დიპლომატები ოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით. ამ რთულ პროცესში, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ, ევროპელი პარტნიორების მაქსიმალური ჩართულობა და მიზანმიმართული მხარდაჭერა. თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველო დამოუკიდებლად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობებს და აღარ საჭიროებს პარტნიორების მხარდაჭერას, – აღნიშნა პრემიერმა.

ევროპელებს ივანიშვილი ქვეყნის მიმდინარე და სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა, ჩამოთვალა, რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს.

– დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქვეყნის აშენება წარმოუდგენელია თავისუფალი მედიის გარეშე. ჟურნალისტი უნდა იყოს ხელისუფლების პირველი კრიტიკოსი და ის საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს. ჩვენი მთავრობა აბსოლუტურად გახსნილია მედიის წარმომადგენლებისთვის და მათი ობიექტური შეფასებები და კრიტიკა ძალიან გვადგება ჩვენს საქმიანობაში. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა გახლავთ ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფის ქვაკუთხედი ქვეყანაში. წამოწყებული რეფორმა ეყრდნობა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ასახავს ვენეციის კომისიისა და საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წინადადებებს. მჯერა, საქართველოს აქვს მართლაც დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელიც თავისუფალი იქნება აღმასრულებელი შტოსა თუ სხვა სახის პოლიტიკური ზეგავლენისაგან. საქართველოს ხელისუფლების მიზანია, არ გაუშვას ხელიდან ეს შესაძლებლობა, – განაცხადა ივანიშვილმა.




ივანიშვილს კითხვებზე პასუხების გაცემამაც მოუხდა. ევროსაბჭოში ნაციონალებს ბევრი გულშემატკივარი ჰყავთ.

– პოლიტიკა არ უნდა იყოს პიროვნებების სიყვარულზე აგებული, მთავრობის მეთაურს, პირველ რიგში, უნდა უყვარდეს საკუთარი ქვეყანა, – ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელმაც პრემიერს მიმართა: „ვფიქრობ, რომ თქვენ არ გიყვართ თქვენი პრეზიდენტი, მაგრამ გიყვართ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი“.

შეკითხვას, ფიქრობთ თუ არა, რომ პუტინი არის პასუხისმგებელი ეთნიკურ წმენდაზე, რომელიც 2008 წელს განხორციელდა, რა არის თქვენი გეგმები საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და განსხვავდება თუ არა ის პრეზიდენტ სააკაშვილის ხედვისგან? პრემიერმა ასე უპასუხა:

– სააკაშვილს აქვს საკუთარი წვლილი შეცდომები რუსეთთან ურთიერთობებისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პროცესში. ჩვენ, პირველ რიგში, საკუთარს უნდა მოვთხოვოთ პასუხი და ვიზამთ კიდეც ამას. რომ არა სააკაშვილის დიდი შეცდომები, რუსეთს ძალიან გაუჭირდებოდა ასეთი დიდი აგრესიის განხორციელება. რაც შეეხება თქვენს რიტორიკას, თქვენ ახლა სააკაშვილის მსგავსი რიტორიკით გნებავთ, რომ მე პოლემიკაში გამოგყვეთ, თუმცა ამის სურვილი არ გამაჩნია, ვინაიდან ასეთი რიტორიკით ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ის, რაც მიიღო. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ვიყოთ კორექტულები და დიპლომატიურები და გამოვასწოროთ ის შეცდომები, რომლებიც იქნა დაშვებული.

ივანიშვილს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე თინა ხიდაშელის შეკითხვაზე პასუხის გაცემამაც მოუხდა, რამაც გაუგებრობა გამოიწვია და სხდომის თავმჯდომარის შენიშვნაც მიიღო.

ხიდაშელმა პრემიერ ივანიშვილს ჰკითხა, თუ როგორ ხედავს ის ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის გზას. ხიდაშელმა ტელეკომპანია „იმედის“ პატარკაციშვილის ოჯახისთვის დაბრუნების მაგალითი მოიყვანა და პრემიერს ჰკითხა, იქნება ეს მეთოდი სამართლიანობის აღდგენის მოდელი თუ არსებობს რაიმე სხვა გეგმა? ხიდაშელმა კითხვის დასმის დროს შენიშვნა სხდომის თავმჯდომარისგანაც მიიღო.

– დიახ, ჩვენ ვწუხვართ, რეზოლუცია, რომელიც მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით მიიღეთ, რადგან პრობლემა არის იმაში, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს შეიარაღებულმა ძალებმა... – დაიწყო ხიდაშელმა.

ამ დროს მას სხდომის თავმჯდომარემ მიმართა: „თქვენ მხოლოდ კითხვის დასმის საშუალება მოგცეს, არა პოლიტიკური განცხადებისა“. ამაზე ხიდაშელმა უპასუხა: „მე კითხვას ვსვამ“.

– არჩევნების შემდეგ ეს ტელეკომპანია დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს. ჩემი კითხვა ბატონ პრემიერ-მინისტრთან: ეს არის გზა, რომლითაც თქვენ მიდიხართ, რომ ათასობით შემთხვევაში აღადგინოთ კანონიერი მფლობელი. რა არის ის გზა, რომელსაც გამოიყენებს ხელისუფლება კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით? – გააგრძელა დეპუტატმა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, იგი თანაგუნდელის კითხვის აზრს ვერ მიხვდა და ეს უფრო კომენტარად ჩათვალა, თუმცა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „იმედი“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა, ევროსაბჭოსგან მადლობის წერილს ელოდა, თუმცა, პირიქით, შენიშვნები მიიღო.

– ცდომილებებია, მე კარგად ვერ გავიგე, მე მეკითხებოდა (ხიდაშელზე)? კომენტარი გააკეთა, მე მგონი. მაინც გავაგრძელებ, იყო ცდომილება, როცა ჩვენ მიგვითითებდნენ რომ მედიაზე ზეწოლაა და იყო კონკრეტული ფაქტი ტელეკომპანია „იმედთან“. ამ ტელევიზიასთან მიმართებით მოხდა პირიქით, როცა 2007 წელს დემონსტრაცია დაარბიეს, იცით, როგორ შევიდნენ ამ ტელეკომპანიაში ჯარით და იმის შემდეგ ეს კომპანია რჩებოდა სააკაშვილისა და ძველი ხელისუფლების სამსახურში. არჩევნების შემდეგ, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ორ თვეში ის დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს და მოხდა სამართლიანობის აღდგენა, გათავისუფლდა ტელეკომპანია ტერაქტისგან, გამოვიყენებ ამ მძიმე სიტყვას. სანაცვლოდ იმისა, რომ მიგვეღო მადლობა ევროსაბჭოსაგან, მოხდა ცდომილება თქვენს დადგენილებაში. იყო ოსტატური სიცრუე ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. სიცრუის გავრცელების შედეგად მოხდა ეს ყველაფერი და კარგი იქნება, ეს ინფორმაცია ორივე მხრიდან გადამოწმდეს, როდესაც ასეთ მძიმე საკითხებზე ხდება დადგენილების გამოტანა, – განაცხადა ივანიშვილმა ევროსაბჭოს ასამბლეაზე ხიდაშელის კითხვის პასუხად.

პრემიერი ევროპის სახალხო პარტიის განცხადებებსაც შეეხო. ამ პარტიის წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტსა და ნაციონალურ მოძრაობას ღიად უჭერენ მხარს.

ივანიშვილის განცხადებით, ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლების გამონათქვამები ცალმხრივ ინფორმაციას ეფუძნებოდა.

– ზოგიერთი გამონათქვამი სახალხო პარტიის წარმომადგენლების ან სხვა ევროპული სტრუქტურის თანამშრომლების მხრიდან ძალიან ხშირად ცალმხრივ ინფორმაციას ეფუძნებოდა, რომელსაც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ავრცელებდნენ. ისინი არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში დახვეწილები იყვნენ და ძალიან ხშირად ავრცელებდნენ სიცრუეს. მე ძალიან ბევრი პარტიის წარმომადგენლებს შევხვდი და ვიმედოვნებ, რომ ეს გაუგებრობები, რაც ცალსახა ინფორმაციის დაყრდნობით არსებობდა, აღარ გამეორდება და ჩვენ ყველა ევროპულ და ასევე სახალხო პარტიასთან აქტიურად ვითანამშრომლებთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს დეპუტატებთან შეხვედრისას.

პრემიერის გამოსვლას ეროვნულ ძალად გარდაქმნილი ნაცმოძი სულგანაბული უსმენდა. დამთავრდა და თუ არა გამოსვლა, მიახტნენ თავიანთ კომპიუტერებს და ფეისბუქის მეშვეობით საკუთარი აღშფოთება-შეშფოთება დააფიქსირეს.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი კანდელაკს, ევროსაბჭოში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის გამო რცხვენია.

– ვფიქრობ, საქართველოსთვის სამწუხარო დღეა. მე, როგორც პარლამენტის წევრს, მრცხვენია, რომ ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ასეთი სუსტი გამოსვლა ჰქონდა მრავალი თვალსაზრისით – პირველ რიგში იმიტომ, რომ ის იყო ძალიან კონფრონტაციული – ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს, შეიძლება ითქვას, ეჩხუბა და უთხრა, რომ ისინი არიან სიცრუის მსხვერპლნი. სტრასბურგში ასეთი საუბარი თვითმკვლელობის ტოლფასია. მეორეც, მისი პოზიციები რუსეთის დელეგაციის პოზიციებს დაემთხვა – იგი დაეთანხმა რუსეთის დუმის წევრს, რომ უნდა შესუსტდეს კანონი „ოკუპაციის შესახებ“. ასევე, როცა მას პოლონელმა დეპუტატმა დაუსვა შეკითხვა, არის თუ არა ვლადიმერ პუტინი პასუხისმგებელი ქართველების ეთნიკურ წმენდაზე, იმის ნაცვლად, რომ დაეცვა საქართველოს ინტერესები, მან კვლავ საქართველო დაადანაშაულა იმაში, რომ მოხდა ქართველების ეთნიკური წმენდა. ასევე ძალიან სამწუხაროა, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ივანიშვილი შეაქო, იყო რუსეთის „ედინაია რასიას“ წარმომადგენელი – თბილი სიტყვები სხვისგან არავისგან მოგვისმენია, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მისივე განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა საქართველოსთვის ცუდია.

– მათ შორის, ესაა ცუდი ჩვენი პარტიისთვისაც, რადგან ჩვენთვის პარტიულ განსხვავებებზე მნიშვნელოვანია საქართველოს ინტერესები და ის, თუ როგორ გამოჩნდება ქვეყანა საზღვარგარეთ, – აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

თავის შეფასებებში გაცილებით ტრაგიკული იყო დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი.

– მრცხვენია, რომ საქართველოს საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი პრემიერ-მინისტრი ჰყავს, – ასე შეაფასა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე.

– თუ შევაჯამებ ახალი პრემიერ-მინისტრის პირველ და, იმედია, უკანასკნელ გამოსვლას ევროსაბჭოში, მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა: მრცხვენია, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი პრემიერ-მინისტრი ჰყავს, თან ისეთი, რომელმაც არ იცის, ვინ არის მაგნიტცკი და უკრაინელი ჰგონია, რომელმაც საკუთარ ქვეყანაში არსებული არც ერთი ენერგოპროექტის სახელი არ იცის და ისეთი ტერმინოლოგიით ლაპარაკობს, რომ სირცხვილით დაიწვები თარგმანის მოსმენისასაც კი! – წერს ჩიორა თაქთაქიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ნაციონალებში დიდი ალიაქოთი მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას. ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერმა თქვა, რომ მან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აღიარებინა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მისია.

– ძალიან მომზადებულები იყვნენ და, პრაქტიკულად, ის კითხვები დაისვა, რაც საზოგადოებას აქვს. შესაბამისად, პასუხები ჩემთვის მოულოდნელი არ იყო და მარტივად ვუპასუხე. ევროსაბჭომ გამოგვიტანა დადგენილება, რომ ჩვენ კერძო ტელევიზია დავაყაჩაღეთ, „იმედთან“ დაკავშირებით. რამდენიმე კვირის წინ მოხდა ამ დადგენილების მიღება. ვინ მიაწოდა ეს ინფორმაცია ევროსაბჭოს? თქვენ ხომ არ მიაწოდეთ? წინა ხელისუფლებამ მიაწოდა ინფორმაცია. ამ დროს, ხომ გახსოვთ, „იმედზე“ რაც მოხდა 2007 წელს, როგორ შეიჭრა პოლიცია, როგორ დაარბიეს და როგორ მიითვისა სააკაშვილმა ეს ტელევიზია და როგორ იყენებდა ამას მთავრობა, ვიდრე არ მოვედით ჩვენ. ჩვენი მოსვლის შემდეგ დაუბრუნდა მესაკუთრეს და ევროსაბჭოში ცრუ ინფორმაციის მიტანა ვინ მოახერხა. მოახერხა წინა ხელისუფლებამ. ეს მოახერხეს და შეიტანეს ცრუ ინფორმაცია. გამოქვეყნდა ასეთი დადგენილება, რომ ჩვენ „იმედი“, კერძო ტელევიზია შევავიწროვეთ. ამ დროს მოხდა პირიქით. აი, ეს არის წინა ხელისუფლების ხელწერა. მესამე შეხვედრაზე მე ვაღიარებინე სააკაშვილს, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მისია. ვუთხარი, აბა, საჯაროდ გამოდი და თქვი-მეთქი. შეგიძლიათ, საჯაროდ შეახსენოთ, საჯაროდ თქვას, რომ „რუსთავი 2“ მას ეკუთვნის. რატომ ეკუთვნის მას „რუსთავი 2“? – განაცხადა ივანიშვილმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებას ჭორი და მონაგონი უწოდა.

# დავით ნარმანიამ პირველი კვარტალის მუშაობა შეაჯამა

ნათია ხურცილავა



**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ თავის მოადგილესთან, შოთა მურღულიასთან ერთად გუშინ პრესკონფერენცია გამართა.**

დავით ნარმანიას განცხადებით, პირველი კვარტლის მონაცემები გასული წლის შედეგებს ყველა პარამეტრით აჭარბებს.

მინისტრმა და მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებს პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარუდგინეს.

დავით ნარმანიას განცხადებით, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელი 2012 წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს 36%-ით აჭარბებს.

– გაწეული ხარჯების საკასო შესრულება 2013 წლის პირველ კვარტალში შეადგენს 87 118 615,0 ლარს, მაშინ, როცა 2012 წლის პირველ კვარტალში 55 349 347,16 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, წლევანდელი მაჩვენებელი 31 769 267,84 ლარით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, – განაცხადა ნარმანიამ.

პრესკონფერენციაზე ბიუჯეტის შესრულების დეტალებზე ისაუბრა შოთა მურღულიამ. მისი თქმით, ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე დაიხარჯა.

კონკრეტულად კი საუბარია 2013 წლის პირველ კვარტალში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, რაზეც დაიხარჯა 64 814 793,2 ლარი, მაშინ, როცა 2012 წლის ამავე პერიოდში 28 661 203.0 ლარი იყო დახარჯული. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაფინანსებულია 115 პროცენტით მეტი ღირებულების პროექტი, ვიდრე 2012 წლის ამავე პერიოდში დაფინანსდა.

– მზარდი მაჩვენებელი დაფიქსირდა გზების მოვლა-შენახვაზე დახარჯული თანხების მიმართულებითაც. ეს თანხა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 23 734 007,65 ლარს შეადგენს, რაც 65,7 პროცენტით აღემატება ამავე მიზნით 2012 წლის I კვარტლის საკასო ხარჯების მაჩვენებელს. ინტენსიურად მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ავტომაგისტრალის სამ მონაკვეთზე. პირველი კვარტლის მონაცემებით, ავტომაგისტრალის მშენებლობის მიმართულებით დაფინანსებულია 170 პროცენტით მეტი ღირებულების სამუშაო, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში დაფინანსდა (2013 წელი – 39, 910 ,969,30 ლარი, 2012 წელი – 14 ,748 ,481,40 ლარი). ზემოთ მოყვანილი ციფრები ნათლად ცხადჰყოფს, რომ 2012 წელთან შედარებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წელს ყველა მაჩვენებელში მზარდი მონაცემი აქვს, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ შოთა მურღულიამ ყურადღება სახელმწიფო შესყიდვებზეც გაამახვილა.

მურღულიას განაცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტების მხრიდან ხშირად ისმის უსაფუძვლო ბრალდებები, სახელმწიფო შესყიდვების ნაწილში დაფიქსირებული მონაცემებიც ადასტურებს, რომ 2013 წლის პირველი კვარტალი 2012 წლის ამავე პერიოდთან შედარებით მაღალი მაჩვენებლით დასრულდა.

– მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოცხადდა 65 ტენდერი საერთო ღირებულებით 54 მილიონი ლარი, ხოლო 2012 წლის ამავე პერიოდში გამოცხადებული იყო 52 ტენდერი საერთო ღირებულებით 43 მილიონი ლარი. ტენდერების მაჩვენებელი ასეთია:

2013 წელი – ხიდების განახლების სამუშაოებზე გამოცხადდა 13 ტენდერი (10 მილიონზე მეტი ლარი)

2012 წელი – ამავე სამუშაოებზე გამოცხადდა 1 ტენდერი (ნახევარი მილიონი ლარი)

2013 წელი – საავტომობილო გვირაბების მშენებლობა – 1 ტენდერი (5 მილიონ ლარამდე)

2012 წელი – ამავე სამუშაოებზე არც ერთი ტენდერი არ გამოცხადებულა.

2013 წელი – გზის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გამოცხადდა 35 ტენდერი

2012 წელი – ამავე სამუშაოებზე გამოცხადდა 29 ტენდერი

2013 წელი – ნაპირსამაგრ სამუშაოებზე გამოცხადდა 12 ტენდერი

2012 წელი – ამავე სამუშაოებზე გამოცხადდა 8 ტენდერი – განმარტა მურღულიამ.

აღნიშნული მონაცემების გაცნობის გარდა, მინისტრის მოადგილე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის საკითხსაც შეეხო.

– გარდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტისა, რომლითაც სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, საქართველოს მუნიციპალიტეტები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით მიიღებენ თანხებს იმისათვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები მოგვარდეს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 643 პროექტი დაფინანსდება, პროექტების ჯამური ოდენობა კი 200 მილიონ ლარამდეა. ფონდიდან გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი მუნიციპალური გზების რეაბილიტაციას მოხმარდება. ამისათვის გამოყოფილია 114 მილიონ ლარამდე და ამ თანხით საქართველოს მასშტაბით 277 პროექტი დაფინანსდება. ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის გამოყოფილია 10 მილიონ ლარზე მეტი, რითაც 56 პროექტი განხორციელდება, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 11 მილიონ 500 ათას ლარამდე და დაფინანსდება 38 პროექტი. წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგებისთვის დაიხარჯება 40 მილიონ ლარამდე და დაფინანსდება 215 პროექტი. სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილია 25 მილიონი ლარი და დაფინანსდება 57 პროექტი, – განაცხადა მურღულიამ.

როგორც ცნობილია, ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები რეგიონების მიხედვით ასე განაწილდა: კახეთი – 96 პროექტი, მცხეთა-მთიანეთი – 74 პროექტი, ქვემო ქართლი – 133 პროექტი, შიდა ქართლი – 31 პროექტი, სამცხე-ჯავახეთი – 35 პროექტი, იმერეთი – 82 პროექტი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი – 53 პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 100 პროექტი, გურია – 39 პროექტი.

# დატოვეს თუ არა დავით ტყეშელაშვილმა და დავით კირკიტაძემ ნაცმოძრაობა

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ამ მიმართულებით სიახლეებს ბოლო არ უჩანს. დაჟინებული უარყოფის მიუხედავად, მონოლითურ პარტიაში, როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“ უწოდებდნენ, რღვევის პროცესი დაწყებულია. ყოფილი სახელისუფლებო პარტია, პარტიის სათავეებთან მდგომმა დავით კირკიტაძემ დატოვა. რაც შეეხება დავით ტყეშელაშვილს, რომელიც ასევე სააკაშვილის უახლოესი გარემოცვიდანაა, როგორც ოფიციალურად ითქვა, ამერიკაში მაღალი თანამდებობის დასაკავებლად მიდის.**



დავით კირკიტაძე წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობასთან“ ასოცირებული იყო. კირკიტაძე ხან დეპუტატი იყო და ხან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებსაც იკავებდა. ბოლოს ის ქვემო ქართლის გუბერნატორი იყო.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ დაპირისპირებისა და რამდენიმე ფრთის არსებობის შესახებ დიდი ხანია საუბარია. თუმცა, დათა ახალიას ავტორობით გამოქვეყნებულ წერილამდე, რომელიც ფეისბუკის გვერდზე გამოქვეყნდა, ამ დაპირისპირების შესახებ ღიად არავინ საუბრობდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ განახლებისა და ახალი სახეების წინ წამოწევის შესახებ განცხადება ცოტა ხნის წინ, თავად პარტიის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა.

დავით ტყეშელაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო. როგორც პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პრესას დაუდასტურა, ტყეშელაშვილს ანდრო ბარნოვი შეცვლის.

პრეზიდენტის პრეს-სპიკერის განცხადებით, არანაირი დაპირისპირება, არანაირი გუნდიდან გამიჯვნა, არანაირი პარტიიდან წასვლა არ არის.

ამის შესახებ მანჯგალაძემ შიდა ქართლის გუბერნატორის ანდრო ბარნოვის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნისა და დავით ტყეშელაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების ფაქტის კომენტირებისას განაცხადა.

– ვადასტურებ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად ანდრო ბარნოვი დაინიშნა. რაც შეეხება ბატონ დავით ტყეშელაშვილს, ის მუშაობას განაგრძობს ერთ-ერთი პრესტიჟული ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიულ სკოლასთან არსებულ საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ცენტრის დირექტორად. ამ ინფორმაციის შესახებ ვიცოდი ჯერ კიდევ 2012 წლის გაზაფხულზე. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება ამის თაობაზე მიღებული იყო, როგორი შედეგებით დასრულდებოდა ოქტომბრის არჩევნები. არანაირი დაპირისპირება, არანაირი



გუნდიდან გამიჯვნა, არანაირი პარტიიდან წასვლა, აქ არანაირი არაფერი არ არის, – ირწმუნება მანჯგალაძე.

ასევე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე მის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ.

როგორც კირკიტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის არც თანამდებობის დატოვებას აპირებს და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ ემიჯნება.

– საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მე, დავით კირკიტაძემ, დავტოვე თანამდებობა და გავემიჯნე „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. დღიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაარსებისა, ვარ ამ პოლიტიკური გაერთიანების წევრი, ასევე ვიზიარებ ახლად შექმნილი ეროვნული მოძრაობის მიზნებსა და სტრატეგიას. მიმაჩნია, რომ დღეს პირადი წყენის და სხვა მიზეზით „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვება არის სისუსტე და ღალატი არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანების, არამედ იმ იდეალებისა, რომელსაც ჩვენ წლებია ვემსახურებით. ჩემთვის, ისევე, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა და მომხრეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, ნათელია, რომ ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არის ჩვენი ქვეყნისათვის ერთადერთი შანსი, რათა საქართველომ საბოლოოდ მოიპოვოს თავისუფლება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის არაერთმა პატრიოტმა შესწირა თავი, – განაცხადა დავით კირკიტაძე.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი დავით ტყეშელაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ცენტრის დირექტორად ინიშნება.

ტყეშელაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას 2010-2013 წლებში ხელმძღვანელობდა. ასევე ცნობილია, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

## ავღანეთიდან სამშობლოში კიდევ ერთი ბატალიონი დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ბოლო ნაკადი გუშინ, საქართველოში დაბრუნდა. ქართული კონტიგენტი ავღანეთში აისაფის მისიას ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, 6 თვის განმავლობაში ასრულებდა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამასახურის ინფორმაციით, ქართველ სამხედროებს აეროპორტში თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლევან დოლიძე, აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი და III ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი დახვდა.

„ჩვენმა სამხედრო მოსამსახურეებმა საერთაშორისო უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. დარწმუნებული ვარ, რომ ის გამოცდილება, რომელიც ჩვენმა სამხედრო მოსამსახურეებმა მიიღეს, მნიშვნელოვნად გამოადგება საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომ განვითარებას“ – აღნიშნა ლევან დოლიძემ.

აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ქართველ სამხედროებს ავღანეთის საერთაშორისო მისიაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

„ვულოცავ 32-ე ბატალიონს სამშობლოში დაბრუნებას და ავღანეთის მისიის წარმატებით შესრულებას. ჩვენ მადლიერები ვართ ქართველი სამხედროების სამსახურით, მათი ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან თანამშრომლობით, რომლებიც ავღანეთში სტაბილურობისა და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ. მადლიერებას გამოვხატავთ ქართველი ხალხისა და მათი თავგანწირვის მიმართ, რომლებიც ასეთ მნიშვნელოვან მისიაში იღებენ მონაწილეობას“ – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ნიუსპრესი

## ქრთამის აღების ფაქტზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დღეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების“ შესყიდვების სამსახურის უფროსი, 1960 წელს დაბადებული ზურაბ ა. ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, მოქალაქეს ბინის პრივატიზაციის სანაცვლოდ თანხა მოსთხოვა. სამართალდამცველებმა ზურაბ ა. ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ნივთმტკიცებად, წინასწარ სპეციალური ნივთიერებით დანიშნული კუპიურები ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღება) 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის ელჩსა და ნატოს მეკავშირე ოფიცერს შეხვდა შეხვდა



შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ, მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩ ჩენ ჯიანფუს შორის ოფიციალური შეხვედრა გაიმართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები და ამ ურთიერთობების განვითარების გზები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინვე, საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელსა და სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს მეკავშირე ოფიცერს – ვილიამ ლაჰიუს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესზე და ამ პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს როლზე ისაუბრეს.

მინისტრმა მეკავშირე ოფიცერს სამინისტროს განვითარების 2013 წლის სტრატეგია გააცნო და უწყებაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ესაუბრა.

ნიუსპრესი

# სახელმწიფოს პარლამენტის ქუთაისში გადატანა ნახევარი მილიონი ლარი უჯდება

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

*— ბატონო ჰამლეტ, კობა დავითაშვილმა დავით სერგეენკო სადაზღვევო კომპანიებთან კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულა. როგორ ფიქრობთ, დავითაშვილის ეს განცხადება საკუთარი გუნდის დისკრედიტაციაა თუ რეალურად არსებობს მსგავსი სახის პრობლემა?*

— რასაც დავითაშვილი ამბობს, ყურადსაღებია. როგორც ჩანს, გუნდი, თუ ამას გუნდი ჰქვია, არ იღებს მხედველობაში მის შენიშვნებს და კობა დავითაშვილი იძულებულია, რომ რამდენჯერმე გაიმეოროს. ცოტა ხნის წინ იყო შემთხვევა, რომ ივანიშვილმა არ გაიზიარა მისი აზრი და გააკრიტიკა კიდეც. რაც შეეხება გუშინდელ განცხადებას, ეს საკმაოდ სერიოზული თემაა. მე არა მგონია, რომ მინისტრი შეკრული იყოს სადაზღვევო კომპანიებთან, მაგრამ ამას ყველაფერს სხვა თვალით შეხედვა სჭირდება. შეიძლება, მინისტრს ეს ყველაფერი არაპროფესიონალური მიდგომის გამო მოსდის. შესაძლოა, კობამ უფრო ღრმად ჩაიხედა ამ საქმეში, ის, რომ ჯანდაცვის სისტემაში მთლად კარგად ვერ არის საქმე, ფაქტია. ცხადია, ამას სერიოზული შესწავლა სჭირდება არა იმ თვალსაზრისით, რომ მინისტრი არის კორუმპირებული, არამედ ის, რომ შესაძლოა ეს არ არის ის გზა, რა გზითაც უნდა იაროს ჯანდაცვის სამინისტრომ. ამ თვალსაზრისით ბევრს ლაპარაკობენ მაგრამ საქმე ჯერ არ ჩანს. თუ ასე გაგრძელდა, ვეჭვობ, რომ კარგი შედეგი მიიღოს ხალხმა. აქ საკმაოდ სერიოზულად არის საქმე და სწორედ ამას ამბობს კობა დავითაშვილი. როგორც ჩანს, დავითაშვილმა ილაპარაკა ამ თემაზე, გუნდის შიგნით, ვერაფერი გააწყო და გამოიტანა ეს თემა საჯაროდ. ამ გუნდში მთლად შეხმატკბილებული ცხოვრება არ უნდა იყოს, ცალკე არის ალასანია, რომელიც თავისებურად უყურებს პოლიტიკურ სიტუაციას, ასევე თავისებურად უყურებს ყველაფერს უსუფაშვილი. რაც შეეხება ოცნებას, ეს გუნდი საერთოდ ვისგან არის შემდგარი, საიდან შოულობს ბიძინა ამ „კორიფეებს", ჩემთვის გაუგებარია.

*— ანუ შიდაპარტიული დაყოფა უკვე სახეზეა?*

— შიდაპარტიული დაყოფა ასე გამოკვეთილი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, მიმდინარეობს შიგა დუღილი. დავითაშვილს რომ თავის გუნდში სერიოზულად შესძლებოდა ამ საკითხის დასმა, ცხადია, საჯაროდ ის არ გამოიტანდა ამ საკითხს. შესაძლოა, მან დასვა ეს საკითხი, პასუხი ვერ მიიღო და გამოაჭენა ეს თემა საჯაროდ. ასე რომ, კოალიციას აქვს სახელები, ჰყავს ცნობილი ადამიანები, მაგრამ არ არის პროფესიონალიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის ხალხი, ვისაც საქმის კეთება შეუძლია, არის მხოლოდ ხალხი, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ მასმედიაში გამოჩენა და სატელევიზიო ტლიკინი. წინსვლას კი ვერ ვხედავ.

*— ენ-დი-აი-მ ბოლო კვლევა გამოაქვეყნა. რას იტყვით იმ რეიტინგებზე?*

— ენ-დი-აი-ს დედაც. მე არ ვიცი, რომ ქვეყანა უკან არის წასული?



უსუფაშვილმა სამოცზე მეტი პროცენტი მიიღო და იმ სულელი, მონიტონურად მოლაპარაკე ტიკინა ბაქრაძის რეიტინგმა აიწია. ეს ქვეყანას არაფერს აძლევს. ეს გასიებული ნავარო საზოგადოებას ატყუებს, ისე, როგორც ატყუებდა ამდენი წლის განმავლობაში. ნავარო გუშინ შემძვრალი იყო ნაციონალების დუმებში, დღეს სხვანაირად ლაპარაკობს, ასეთ პიროვნებას არ დაეჯერება. მე დიდ პატივს ვცემ ადამიანს, რომელსაც უნდა საქართველოს ფეხზე დგომა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა რომელი გზაც აირჩია, ეს არ არის ქვეყნის განვითარების გზა. ეს არის ის გზა, რომელიც უნდა ამერიკელს. ამერიკელს უნდა, რომ ოცნებამ არ შეჭამოს ნაციონალები. ნაციონალებს რომ დასჯა სჭირდებათ, ეს ამერიკელს სულ ფეხებზე ჰკიდია.

*— ნაციონალების დამსჯელი ვინ არის?*

— ვინც უნდა დასაჯოს, ეს არის პარლამენტი, რომელთაც დაუკერებიათ პირზე ეს კოჰაბიტაცია და არის ეს ამბავი დიდ კოჰაბიტაციურ ვახტანგურში გადასული. თუნდაც ის, რაც იმერლიშვილმა თქვა, დუბაიში ბოზებით ხეტიალზე, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბედავს ასეთ რამეს, როდესაც ის თავისი შვილის სწავლისთვის ხარჯავს სახელმწიფოს ფულს და რასაც სააკაშვილი ამ წლების განმავლობაში აკეთებდა და არ ისჯება, არ ისჯება იმის გამო, რომ ომი დაიწყო და ტერიტორიები დაკარგა, საზოგადოება გაყუჩებულია ამაზე და ლაპარაკობს, რომ საქართველომ კი არა, რუსეთმა დაიწყო ომი. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მიხვდეს ქართველი, რომ სხვაზე ასეთი დანაშაულებრივი ტვირთის აკიდება არის ძალიან ცუდი რამ. ერი ასე ვერ იარსებებს. არ შეიძლება, ერმა მუდამ ხელი იშვიროს რუსისკენ, როცა ის რუსი არაფერში დამნაშავე არ არის. ის ამ შემთხვევაში არის არა დათვი, არამედ კრავი სულელი სააკაშვილის გამო. რუსს ჩემი დასაცავი არაფერი სჭირს, მაგრამ ის, რომ ამ საქმეში ჩვენ ვართ დამნაშავე და ამ ყველაფერს ახალი ხელისუფლებაც ცალყბად ამბობს, იმას ნიშნავს, რომ ეს ხელისუფლება არ არის მზად ქვეყნის სამართავად. ივანიშვილმა ისაუბრა მესამე ძალაზე და ვინ დაასახელა? სალომე ზურაბიშვილი და ირმა ინაშვილი. სალომე ზურაბიშვილმა სახელი გაითქვა საგარეო საქმეთა სამინისტროში თავისი „მოღვაწეობით". ეს სამინისტრო ისედაც არ იყო აწყობილი და ამ ქალმა მთლად დაანგრია და მოსპო, ანუ გამოდის, რომ ივანიშვილი სახელებს მისდევს და არა საქმეს, მაგრამ საქმე არ კეთდება, პირიქით, მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

*— ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩატარებული აქცია, როგორ ფიქრობთ, შეასრულებს რეაბილიტატორის როლს თუ ვერა?*

— ნაციონალები მარტო იმისთვის არიან დასასჯელები, რომ პარლამენტი გადაიტანეს ქუთაისში. სახელმწიფოს ეს თითქმის ნახევარი მილიონი ლარი უჯდება და იქ შენობა რა მდგომარეობაშია, ეს კიდევ სხვა საკითხია. არჩევნებიდან შვიდი თვე გავიდა და ეს ბანდიტები ისევ დაგრიალებენ თბილისში, ქუთაისში, უცხოეთში და თავს ისე გრძნობენ, როგორც ამ ქვეყნის ბატონ-პატრონები. ეს პარტია უნდა გამოცხადდეს კანონგარეშედ. მან იმდენი უბედურება მოუტანა საქართველოს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, ამაზე ცუდი სხვა რაღა უნდა გააკეთონ. დაკარგეს ტერიტორიები, ხალხი გაალატაკეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი აიძულეს, რომ წასულიყო ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში, ყველა პარამეტრით ერი შეურაცხყვეს. ივანიშვილს კი, როგორც კარგი მომრიგებელი ამბობს, რომ ჩვენ უნდა გადავლახოთ სიძულვილი, როგორ შეიძლება, ეს გადალახო, მსოფლიოში ასეთი რამ არ მომხდარა, დამნაშავეებს სჯიან. ივანიშვილი კი მიყვება ზღაპრებს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ სააკაშვილთან. ამას ელაპარაკება ამერიკელი ელჩი, რომელიც, როცა სააკაშვილი ლაპარაკს დაიწყებს, წინადადებას ასრულებს ნორლანდი, რომელიც, ფაქტობრივად, მართავს საქართველოს, ვიღაც მეათეხარისხოვანი დიპლომატი. ელჩი, რომელიც ესწრება რაღაც რიგითი კანონპროექტის განხილვას პარლამენტში და ის ამბობს დასკვნით სიტყვას, ეს კანონი კარგია თუ ცუდი. ვინ ჰკითხავს საერთოდ ამერიკის ელჩს, საქართველო რა კანონს მიიღებს და, საერთოდ, ამ პროცესებში რატომ ერევა? მაგრამ ეს ქვეყანა ხომ ქვეყანა არ არის. ვიღაცას შეუძლია, ხელი აფათუროს ქვეყნის საშინაო საქმეებში. ეს არის ტრაგედია და ამას ვერ ხვდება ვერავინ, ვერც საზოგადოება და, რაც მთავარია, ეს ახალი ხელისუფლება გაგებაში არ არის. ამათ ჰგონიათ, უცხოელს რომ ნახავენ, ფეხისგულები უნდა დაფხანონ. ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც ქვეყანაში ხდება და განსაკუთრებით ახალი ხელისუფლების დროს. ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, რა არის ცუდი და რა არის კარგი.

# გია ხუხაშვილი: „კობა დავითაშვილი გუნდური მოთამაშე არ არის"

შორენა გონგლაძე

სკანდალებით ცნობილი კობა დავითაშვილი თავისი ასევე სკანდალური განცხადებებითა თუ ქცევებით ყოველთვის ახერხებს საზოგადოების გაოცებას და, რაც მთავარია, ამ სკანდალებიდან ყოველთვის „უვნებელი" გამოდის. მორიგი სკანდალი დავითაშვილმა ბიძინა ივანიშვილის ნაქებ ჯანდაცვის მინისტრს მოუწყო. როგორც ცნობილია, დავითაშვილმა სერგეენკო პირდაპირ დაადანაშაულა სადაზღვევო კომპანიების ლობირებაში. დავითაშვილის განცხადებამ სტრასბურგში მყოფი ივანიშვილიც აღაშფოთა. მანძილის სიშორის გამო ივანიშვილი დავითაშვილთან ამ ეტაპზე მხოლოდ სატელეფონო ზარით შემოიფარგლა, ადგილზე კი, ტრადიციულად, გაფუჭებული საქმის გამოსწორება ივანიშვილის კარის ვეზირს, გია ხუხაშვილს დაევალა.

ხუხაშვილმა დავითაშვილის მიერ „ბრალდებული" სერგეენკოს დაცვა გუშინ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში ცადა და კობა დავითაშვილის მიერ წაყენებულ ბრალდებას უსამართლო უწოდა.

— კობა დავითაშვილმა დავით სერგეენკოს საკმაოდ მძიმე ბრალდება წაუყენა. საერთოდ, როცა თვლი, რომ შენ მიერ არჩეულ მთავრობაში ვიღაც კორუმპირებულია, ან უნდა დაამტკიცო მისი დანაშაული, ან გაემიჯნო გუნდს. სიმართლე გითხრათ, ადრე თუ გვიან ველოდებოდი კობასგან მსგავს საქციელს. საერთოდ, კობა გუნდური მოთამაშე არ არის. მე, უბრალოდ, მწყინს, რომ სერგეენკოს ძალიან მძიმე და, ვფიქრობ, უსაფუძვლო ბრალდება წაუყენა. შეიძლება, გუნდში იყოს კომუნიკაციის პრობლემა, მაგრამ ეს ამის საფუძველს არ იძლევა, რომ თანაგუნდელი კორუფციაში დაადანაშაულო, — განაცხადა ხუხაშვილმა.

ხუხაშვილი დავით სერგეენკოსგან რაიმე სახის კორუფციულ გარიგებას გამორიცხავს და ამბობს, რომ ის დავითაშვილისგან განმარტებებს ელოდება. „არაფერს გამოვრიცხავ. შეიძლება, იყო პრეტენზიები, კომუნიკაციის არარსებობა, მაგრამ ეს ბრალდების წასაყენებლად საფუძველი არ არის. თუ საზოგადოებას ვემსახურებით, ჩვენი ემოციები სახელმწიფო ინტერესზე მაღლა არ უნდა დავაყენოთ. სერგეენკოს მხრიდან გარიგებას გამოვრიცხავ. მას შეიძლება სახეზე შეხედოთ და ამას მაშინვე მიხვდებით".

— ეს არის პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს. ყველაზე კარგი ვარიანტია, რომ დავითაშვილმა განმარტება გააკეთოს. კი, დეპუტატი საჯაროდ უნდა აკრიტიკებდეს მთავრობას, მაგრამ ბრალდება სხვა რამეა. უფრო ცუდი ვარიანტია, რომ ერთიანი პოლიტიკური გუნდიდან კობა დავითაშვილის დისტანცირება მოხდეს, რაც შესაძლებელია. როცა მიგაჩნია, რომ ვიღაც კორუმპირებულია, ან ის უნდა მიდიოდეს, ან შენ უნდა ტოვებდე გუნდს. ამიტომ უცნაურად მიმაჩნია, რომ კობა უკან არ იხევს, მეორე მხრივ, არც იმას ამბობს, ამ პოლიტიკურ გუნდთან ჩემი გზები გაიყოო. ვისურვებდი, კობამ განმარტებები გააკეთოს, — განაცხადა ხუხაშვილმა.

მისი განცხადებით, თუ დავითაშვილი იმ აზრზეა, რომ მთავრობა კორუმპირებულია, მაშინ უნდა გაემიჯნოს მას და ბევრად ლოგიკურია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

ხუხაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან ყველა დასმულ კითხვაზე პასუხს ელის. მისი თქმით, კითხვები იქნება, მაგრამ მწვავე იქნება თუ არა, წინასწარ არ იცის.

— არ ველი ისეთ კითხვებს, რომლებზეც პასუხი არ იქნება. ალბათ, გარკვეული



ლი სიმწვავე იქნება ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, საქართველოს განვითარების ვექტორზე, თუ ეს კითხვა კიდევ ვინმეს აქვს. პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ არ არსებობს კითხვები, რომლებსაც დამაკმაყოფილებელი პასუხები არ გაეცემა.

ხუხაშვილი ასევე მისი მისამართით გავრცელებული ჭორების ავტორითაც დაინტერესდა. ხუხაშვილი იმის გარკვევას აპირებს, თუ ვისი დაკვეთით გავრცელდა ინფორმაცია მის მიერ კვერცხის ბიზნესის ხელში ჩაგდების მცდელობაზე. მისი თქმით, საკუთარ თავზე ბევრი სისულელე მოუსმენია, მაგრამ კვერცხის ბიზნესთან დაკავშირებული ბრალდება განსაკუთრებით აღმაშფოთებელია.

— ჩემზე მსგავსი ინფორმაციის გამავრცელებლებს პატივს არ ვცემ. ეტყობა, ეს ადამიანები ან კონკრეტულ დაკვეთაზე მუშაობენ, ან ახალი დაავადება — ხუხაფობია არსებობს. მაგრამ კვერცხის თემას ჩავეჭიდები, რადგან აღდგომის წინ კვერცხის ბიზნესზე ლაპარაკი საკმაოდ მძიმეა. ამაში ღრმად ჩახედვა მომიწევს და გავარკვევ, ვისი დაკვეთით გავრცელდა ეს სიბინძურე, — აცხადებს ხუხაშვილი.

ხუხაშვილს ასევე ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება კიდევ ერთხელ მოუხდა. გია ხუხაშვილის განცხადებით, ახალაია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილიც რეჟიმის მსხვერპლია.

— ჩემს ბრალდებებს თბილისის მერიც დაემატა. როგორც ჩანს, გიგი უგულავას მომავალში ექსპერტობაზე აქვს პრეტენზია. მე მინდა განვმარტო, რომ დათა ახალაიასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია. ახალაიაზე ვთქვი, რომ ის რეჟიმის მსხვერპლია, მაგრამ ეს თავისთავად არ გამორიცხავს იმას, რომ ბაჩო და დათა ახალაიები დამნაშავეები არიან. უბრალოდ, მათ ჰყავდათ დამკვეთი. მე სააკაშვილზეც მითქვამს, რომ ის მის მიერვე შექმნილი ურჩხულის მსხვერპლია, — განაცხადა ხუხაშვილმა.

# წმინდა სინოდმა მაღალყოვლადუსამღვდელოეს დავითის თხოვნაზე იმსჯელა

გუშინ საქართველოს მართლმადიდებლური წმინდა სინოდის სხდომაზე ეპარქიებში არსებულ ვითარებაზე და ბოდბელი მთავრეპისკოპოსის, მაღალყოვლადუსამღვდელოეს დავითის თხოვნაზე იმსჯელეს.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები მედიის წარმოამდგენლებს, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა გააცნო. წმინდა სინოდმა დააკმაყოფილა ბოდბელი მიტროპოლიტის თხოვნა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისი პენსიაზე გაშვების გადაწყვეტილება მიიღო.

გადაწყდა, რომ ბოდბის ეპარქიის კათედრაზე გარდაბნისა და მარტყოფის მთავარეპისკოპოსი მეუფე იაკობ იაკობაშვილი დაინიშნოს, ხოლო გარდაბნის ეპარქია მცხეთა-თბილისი ეპარქიას შეუერთდეს.

მღვდელმთავარმა სინოდს საკუთარ ეპარქიაზე გააცნო ინფორმაცია და გადაწყდა, რომ ეპარქიაში უნდა გაძლიერდეს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციალურ საკითხებზე ზრუნვა.

„გაკეთდა მოხსენებები და აღნიშნა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებას ახლავს მრავალი პრობლემა, მოსაგვარებელი საკითხი. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ეკლესია ადგილებზე, ეპარქიებში ჩვენი საქმიანობა, როგორც საგნმანათლებლო, კულტურული, სულიერი, ასევე სოციალური მიმართულებით", — აღნიშნა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა.

რაც შეეხება ჟურნალისტებს შეკითხვას, აიდი ბარათებთან და ტაო-კლარჯეთში ქართული ტაძრების რესტავრაციასთან დაკავშირებით, მიტროპოლიტმა აღნიშნა, რომ არ არსებობს აუცილებლობა იმ საკითხების ხელახლა განხილვისა, რომელზეც ეკლესიას უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება.

მედიანიუსი

# ადგილობრივ თვითმმართველობებში პრემიების გაცემა კვლავ გაუმჭვირვალედ ხორციელდება

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილის ახალი ხელმძღვანელობა, წინამორბედების მანკიერ პრაქტიკას აგრძელებს და თანამშრომლებზე პრემიებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გასცემს. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანგარიშშია ნათქვამი.

მათი ინფორმაციით, ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ 2013 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში სამეგრელო-ზემო სვანეთის თვითმმართველ ერთეულებში, პრემიის სახით ჯამში 775 328 ლარი იქნა გაცემული. რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციას, პრემიები იქ, მიმდინარე წელს არ გაუცია.

„პრემიების გაცემის დროს კვლავ შეიმჩნევა არასასურველი ტენდენციები. კერძოდ, პრემიის გაცემა ხდება კანონის მოთხოვნათა იგნორირებით — სათანადო დასაბუთების გარეშე. გაუგებარია რა განსაკუთრებული წვლილისა და დამსახურებისთვის გაიცემა პრემიები საჯარო მოხელეებზე. ასევე, გაუმჭვირვალეა პრემიების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

აღსანიშნავია ასევე, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2013 წლის 17 აპრილის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, გამგეობისა და საკრებულოს საჯარო მოხელეებზე მორიგი ფულადი დახმარება-პრემიის გაცემის შესახებ" - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციაში.

ნიუსპრესი

# არასამთავრობოები კალაძეს არაკორექტულობას სდებენ ბრალად

## მოხევეები ხდის ხეობის გადარჩენას პატრიარქს სთხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

**ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ჰესების მშენებლობამ გაიტაცა. მას ისეთი ტემპი აქვს აღებული, ლამისაა მთელი საქართველო ჰესად აქციოს. მას არც მოსახლეობის პროტესტი ანაღვლებს და არც ექსპერტების დასკვნები. მისთვის მთავარი ჰესებია.**

ჰესების სიყვარულმა მას არასამთავრობო ორგანიზაციები გაალანძღინა. მინისტრს ვალში არც ისინი დარჩნენ და საპასუხოდ განცხადება გააშანშალეს. არასამთავრობოები ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახა კალაძეს არაკორექტული განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებენ.

როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი, ისინი მიმდინარე წლის 22 აპრილს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ საღამოს საინფორმაციო გადაცემაში გასულ სიუჟეტს ეხმაურებიან, რომელიც ხუდონჰესის მშენებლობაზე მიმდინარე დისკუსიას შეეხება.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, მათი ყურადღება მიიპყრო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახა კალაძის უკიდურესად არაკორექტულმა განცხადებამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ხუდონჰესის მშენებლობაზე კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ.

– ხსენებულ სიუჟეტში ბატონმა კალაძემ ბრძანა: „ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავაყოლებთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და მათ მიერ რაღაც შეჩერებული პროექტების გამო აღებულ დაფინანსებას, რომელსაც ისინი იღებენ უცხოეთიდან.“ პოლიტიკის ფორმულირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის როლის შესახებ ამგვარი მცდარი წარმოდგენა შემაშფოთებელია, განსაკუთრებით ისეთი მაღალი თანამდებობის პირისგან, როგორიც ბატონი კალაძეა, რომელსაც საქართველოს მთავრობაში პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობაც უკავია. მიგვაჩნია რომ ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის (ან მისი ერთი ნაწილის) მოსაზრებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და ეს დემოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია. ამდენად, კატეგორიულად მიუღებელია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკული შენიშვნების საპასუხოდ ამგვარი დაუსაბუთებელი ბრალდებისა და სხვადასხვა შეთქმულების თეორიის მოშველიება. ამიტომ დასანანია, თუ საქართველოს ხელისუფლება სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობას ასეთი რიტორიკით აპირებს.

„არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების დაკავშირება გაურკვეველ ფინანსურ ინტერესებთან მით უფრო უცნაურია



ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან, რომლის ხელმძღვანელ პირებს ბოლო დრომდე თავად ჰქონდათ კერძო კომერციული ინტერესები ენერგეტიკის სექტორში. საზოგადოებას დღემდე არ მიუღია ცალსახა პასუხი, დათმეს თუ არა მათ რეალურად ეს ინტერესები“, –- ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: „მწვანე ალტერნატივა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“; ადამიანის უფლებათა ცენტრი; ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“;

ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში; სვანეთის ტურიზმის ცენტრი,

გურამ თიკანაძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი; გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“;

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია; ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი; „სტეფანწმიდა“; პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“; „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და კოალიცია „საზოგადოებრივი დამცველი“.

სხვათა შორის ეს არ არის პირველი შემთხვევა როცა არასამთავრობოები კახა კალაძეს უპირისპირდებიან. ცოტა ხნის წინ მას გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაში დასდეს ბრალი.

გარემოს დამცველებმა მარტის თვეში ხდის ხეობაში ჰესის აშენებაზე უარყოფითი დასკვნა დადეს. ამ დასკვნიდან მოკლე ხანში კალაძე ჩავიდა ყაზბეგში და იქ მეჰესეებს შეხვდა. იქვე დადო პირობა, რომ ხდის ხეობაში ჰესი მაინც აშენდება.

შეგახსენებთ რომ ყაზბეგის რაიონში ჰესების მშენებლობა შარშან დაიწყო. როგორც ამბობენ ამ მშენებლობას ვანო მერაბიშვილი ლობირებდა. გეტყვით იმასაც რომ ეს მეჰესეები ნაციონალებს აფინანსებდნენ. მათ ანგარიშზე ათეულობით ათასი ლარი აქვთ გადარიცხული.

ჰესებთან დაკავშირებით ყაზბეგის მოსახლეობამ საგანგებოდ მიმართა საქართველოს პატრიარქს ილია II. მოხევეები პატრიარქს სთხოვენ დაეხმაროს ხდის ხეობის გადარჩენაში. ამ მიმართვის ტექსტს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

– 1995 წელს ხდის ხეობა ხატის ტყედ აკურთხეთ, სადაც ტყის მოჭრა და ნადირობაც არ შეიძლება. მშენებლობები, რომლებიც ხევში მიმდინარეობს, ხდის ხეობაში კი იგეგმება, პრობლემებს შეუქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გავლენაზე, რომელიც ექნება უნიკალურ ფლორასა და ფაუნაზე. ამ მიზეზებით, გარემოს დაცვის სამინისტრომ მშენებელ კომპანიას უარი უთხრა ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე, მაგრამ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დაჟინებით ითხოვს ხდის ხეობაში ჰესის აშენებას, რაც არ გამოვრიცხავთ, რომ მის პირად ინტერესებს უკავშირდებოდეს. ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობას უარყოფითად აფასებენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციები. ცოტა ხნის წინ, როცა ყაზბეგში შეხვედრა გაიმართა მთავრობის წარმომადგენლებთან, ჩვენ იქაც დავაფიქსირეთ ჩვენი მკვეთრი პოზიცია, რომ წინააღმდეგები ვართ მთელი ყაზბეგი ჰესების გარემოცვაში აღმოჩნდეს, მაგრამ ხელისუფლება ჩვენს მოსაზრებებს არ ითვალისწინებს. ერთადერთი თქვენი იმედი დაგვრჩა. გთხოვთ, გადავარჩინოთ ხდის ხეობა, – ნათქვამია მოხევეების მიმართვაში.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, გარემოს დაცვის სამინისტრომ ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა.

– ხდის ხეობა ჯიხვების მნიშვნელოვანი თავშესაფარია და მათი რიცხოვნობა საკმაოდ დაბალია. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მოიცავს ბურღვა – აფეთქებით სამუშაოებს და სამშენებლო ხმაურს. დეტალურად არ არის შესწავლილი საპროექტო ზონაში, იქტიოფაუნის, ფლორის და ფაუნის შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით კი წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, – სამინისტრომ დადებითი დასკვნის გაცემაზე უარი ამ და სხვა მიზეზებით თქვა.

## შსს-ს გერმანული პოლიტიკური ფონდების დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით, საქართველოში გერმანული პოლიტიკური ფონდების დელეგაცია ეწვია.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კონრად ადენაუერის, ფრიდრიხ ებერტის, ფრიდრიხ ნაუმანისა და ჰაინრიხ ბიოლის ფონდების წარმომადგენლებს შეხვდა.

„შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობები, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა და ამ ურთიერთობების განვითარების გზები, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს. მხარეებმა აღნიშნეს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობა, გამოთქვეს მჭიდრო კოოპერაციის სურვილი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გერმანული პოლიტიკური ფონდების თანამშრომლობის განვითარების გზები დასახეს“ - ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

ნიუსპრესი

## თოლიას პელმენი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა

„თოლიას ქალაქური პელმენი“ კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა. ამის შესახებ ინფორმაციას მომხმარებელი.გე ავრცელებს.

„მომხმარებელმა თოლიას პელმენის შემოწმება გვთხოვა, თუმცა მაღაზია, სადაც ეს პროდუქტი იყიდებოდა, არ მიგვითითა. პროდუქტი - „თოლია ქალაქური პელმენი“ გაყიდვაში შემთხვევით, თემქაზე მდებარე უნივერსამში აღმოვაჩინეთ, რომელიც შევიძინეთ და მიკრობიოლოგიური ანალიზისთვის ლაბორატორიას ჩავაბარეთ.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით პელმენი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა“- ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

## დავით დარახველიძე ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდა

დევნილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ, გუშინ ევროკავშირის წარმომადგენელთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე დევნილი მოსახლეობის საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის მიმდინარე მშენებლობები, დევნილი მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაცია, „დევნილთა პროგრამა III“ -ის შედეგები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, „დევნილთა პროგრამა III“-ით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ფოთში, დევნილი მოსახლეობისთვის განკუთვნილი შვიდი კორპუსის მშენებლობა, მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება.

„ევროკავშირის წარმომადგენელთან საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრა გვქონდა. ფოთში მშენებარე 7 კორპუსის მშენებლობის ვადებთან დაკავშირებით კონტრაქტორ კომპანიას გარკვეული პრობლემები ჰქონდა, თუმცა აღნიშნული საკითხი გვარდება. ამასთანავე, ვისაუბრეთ დევნილი მოსახლეობისთვის შემოსავლების მომტან წყაროებზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნაზე, რომელმაც დევნილებისთვის მცირე ბიზნესის შექმნა-განვითარებაზე უნდა იმუშაოს. ასევე, ვისაუბრეთ დევნილთა ხელახალი რეგისტარაციის საკითხზე, რომლის ტექნიკურ დახმარებასაც ევროკავშირი გვპირდება" - განაცხადა დარახველიძემ.

ნიუსპრესი

# თემურ შაშიაშვილი: „ივანიშვილი ევროპის წინაშე ქართული ღირსებით წარდგა“

შორენა გონგლაძე

**ევროსაბჭოში პრემიერ-მინისტრის გამოსვლამ საქართველოში დიდი აურზაური გამოიწვია. გაკეთდა უამრავი შეფასება. ზოგს მოსწონს ივანიშვილის გამოსვლა, ზოგს – არა. პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ივანიშვილის გამოსვლით კმაყოფილია.**

– ეს იყო ქართული ღირსებით დგომა ევროპელების წინაშე, – ასე აფასებს „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი პრემიერ მინისტრ ივანიშვილის გამოსვლას სტრასბურგში ევროსაბჭოს სესიაზე და ივანიშვილის კრიტიკით პოლიტიკაში დამკვიდრების მოსურნეთა შეფასებებს. „თეთრების“ ლიდერის განცხადებას გთავაზობთ უცვლელი სახით:

– ბევრი რამ შეიძლება მე სხვანაირად მეთქვა. მაგრამ განწყობას სრულად ვიზიარებ. პირდაპირ ვამბობ: ეს იყო ჯანმრთელი გამოსვლა, რომელსაც უამრავი ავადმყოფური შეფასება მოჰყვა. და ეს ავადმყოფური შეფასებები მარტო ნაციონალ – შლეგებს და ავადმყოფურად მოაზროვნეთ არ ეკუთვნით. თუმცა, სააკაშვილმა აქაც არ დათმო პირველობა. მისგან სხვა შეფასებას არც ველოდებოდი. ეს გაბოროტებული კაცია – თავისი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ წარმატებული მებრძოლი და თავისი უცხოელი პატრონების ერთგულებაში ასევე წარმატებული. გასაგებია იმათი პოზიციაც, ვინც თავიდანვე მძიმედ შეხვდა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას. მათი შეფასებები ჩემში გაკვირვებას არ იწვევს. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პოლიტიკოსთა შემადგენლობა შორს არის სახელმწიფოებრივი აზროვნებისაგან, რომ ქართულ პოლიტიკაში არის სახელმწიფო კაცების განსაკუთრებული სიმცირე და დეფიციტი. რომ ქართული პოლიტიკა სავსეა ავადმყოფურად მოაზროვნე – სკამზე შეყვარებული მედროვეებით. რაც დრო გავა, „ნაციონალთა“ განწყობას შეუერთდება ბევრი პოლიტიკოსი, რომლებიც ხბოს აღტაცებით შეხვდნენ ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას, მაგრამ მის ფავორიტთა სიაში ვერ მოხვდნენ. ეს სულმოკლეობაა. სულმოკლეობაა, როცა უმაღლესი ხელისუფალის შენდამი დამოკიდებულებით ზომავ მდგომარეობას ქვეყანაში. აშკარაა, რომ ქვეყანას სრულიად სხვა ფილოსოფიის პოლიტიკა და პოლიტიკოსები სჭირდება. ეს დროის საკითხია. ცუდია, რომ ეს პროცესი ტემპში ვერ მიყავს პრემიერ-მინისტრს. ბევრ რამეზე დამაფიქრა ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიის დარბაზმა. აშკარაა, რომ ევროპაში ჯანსაღი პოლიტიკური აზროვნების სერიოზული პრობლემები გაჩნდა. ესეც დადასტურდა დღეს. მომეწონა, რომ პრემიერი აუღელვებლად და ქართული სიდარბაისლით პასუხობდა „ნაციონალების“ ნაყიდ შეკითხვებსაც.

ამ დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ილიასეულ ჭეშმარიტებაში: საქართველო ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს. ეჭვი არ მეპარება, ევროპულ ქვეყნებშიც ძლიერდება ეროვნული ღირსების პოზიციები, ძლიერდებიან ეროვნული ღირსების მატარებელი პოლიტიკოსები და არც იმას ვეჭვობ, რომ მშვიდობიანი მსოფლიო ისტორიის სანაგვეზე გადაყრის ურა-პატრიოტებსაც, კოსმოპოლიტებსაც, რელიგიურ ფუნდამენტალისტებსაც და ათეისტებსაც და მომავალს მისცემს სწორედ ეროვნული ღირსების მატარებელ პოლიტიკოსებს.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიაზე – ეს იყო ქართული ღირსებით დგომა ევროპელების წინაშე. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ მათ,ვინც დარბაზში იყო, რადგან ვიცი, რომ გაცილებით სწორად და კარგად ის შეაფასებს ამ გამოსვლას, ვინც ამ დარბაზში არ იყო. ევროპაში კი საქართველოს ბევრი ნამდვილი მეგობარი ჰყავს, განსხვავებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის არაერთი წევრისაგან, – ნათქვამია განცხადებაში.

უფრო ადრე შაშიაშვილმა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით გაავრცელა განცხადება.



– ქვეყანაში 1 ოქტომბრიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით 19 აპრილის პოლიტიკურმა თავხედობამ, პარტია „თეთრები“, ისევე, როგორც არაერთი პოლიტიკური ძალა და სერიოზული პოლიტიკოსი, მიიყვანა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლად ჩატარების დასკვნამდე. სასიცოცხლოდ მიგვაჩნია ვადამდელი ადგლობრივი არჩევნებიც. ჩვენის აზრით, ეს არის გზა, რომელიც შესაძლებელს გახდის სისტემური პოლიტიკური კრიზისის დაძლევას, რომელშიც წლებია ჩათრეულია ქვეყანა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა „ნაცმოძრაობის“ აქციამ.

დრო არ ითმენს სამი მარტივი რამის გამო:

პირველი – არ შეიძლება ქვეყანამ მოითმინოს დამნაშავე პარტია ჩასაფრებულის როლში – ეს პრაქტიკულად ნიშნავს 1 ოქტომბრის მონაპოვარის განადგურებას, ხალხში გაჩენილი იმედის ჩაკვლას;

მეორე – თუ დამნაშავე პარტიას არ გავასამართლებთ და მას მივცემთ დროს და საშუალებას, იქცეს ამ ეტაპზე მეორე პოლიტიკურ ცენტრად, ეს ნიშნავს, რომ ვეთანხმებით გარკვეული პერიოდის შემდგომ მის ხელისუფლებაში მობრუნებას... ვეთანხმებით ქვეყანაში არასამართლიანი პოლიტიკური სივრცის შექმნას... ვეთანხმებით სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე არსებულ მწვავე კრიზისს.

ამაზე დიდი ბოროტება არ შეიძლება გავუკეთოთ საკუთარ ხალხს და ქვეყანას.

მესამე, და განსაკუთრებული – საზოგადოებაში არის აზრი, რომ დღეს ხელისუფლება ყველა დონეზე ხელთ უპყრია კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მაშინ, როდესაც მთელი საპრეზიდენტო ვერტიკალი: სამხარეო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო ადმინისტრაციები, სასამართლო და კომტროლის პალატის სისტემები ძველი ხელისუფლებისადმი მორჩილი ერთგულებით ებრძვის ხალხს. ეს ერთხელ კიდევ ასაბუთებს ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას.

ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩვენი მოსაზრება. სამ თვეზე მეტია, მოქალაქეთა გამოხმაურებებიდან და პოლიტიკური დიალოგებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ასე ფიქრობს არა მხოლოდ პარლამენტის გარე, არამედ საპარლამენტო არაერთი პოლიტიკური ძალა. ეს მოსაზრება ძლიერდება არასამთავრობო სექტორში, ექსპერტთა წრეებში და ხალხში, – აცხადებს პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.

მისი თქმით. დღის წესრიგში დგება კონსულტაციების აუცილებლობა. ჩვენ ღია ვართ ყველასთან.

– მიგვაჩნია, რომ დათათბირების პროცესი უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და სასურველია, პირველი სერიოზული ერთობლივი განცხადება გაკეთდეს 26 მაისს, – აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

# ბზის ჭრაზე კონტროლი მკაცრდება

მერი ნამორაძე

წელს გარემოს დაცვის სამინისტრო ბზის მოჭრაზე კონტროლს გაამკაცრებს. კონტროლის გამკაცრება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს უკავშირდება, როცა მასობრივ სახეს იღებს ბზის ჭრა. როგორც სამინისტროში ამბობენ, კოლხური ბზა ენდემური სახეობაა, არის კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტი და უძვირფასესი სამერქნე მცენარე. იზრდება ძალზე ნელა და ხასიათდება არეალის შემცირების ტენდენციით, რისი უმთავრესი მიზეზი სწორედ უკონტროლო ჭრაა. სწორედ ამის გამო, კოლხური ბზა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

როგორც სამინისტროში ამბობენ, რომ კოლხური ბზის განადგურების რეალური საფრთხიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტროსა და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით, მკაცრდება კონტროლი ბზის მოჭრასა და სამართალდამრღვევზე გავრცელდება კანონით დადგენილი სანქციები. კერძოდ: სამართალდამრღვევს ჯარიმა დაეკისრება ყოველი მოტეხილი ტოტისათვის, რომელიც შესაძლოა, შეადგენდეს მიზერულ თანხას; თუმცა, გარემოზე მიყენებული ზიანის სიმძიმის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა მერყეობს 200-დან 600 ლარამდე. იმ შემთხვევაში კი, თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი 1000 ლარს გადააჭარბებს, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, – ამბობენ სამინისტროში.

სამინისტრო მოსახლეობას მოუწოდებს, მაქსიმალურად თავი შეიკავოს ერთი მხრივ, ბზის მოჭრისაგან რეალიზაციის მიზნით და მეორე მხრივ, დიდი რაოდენობით ტოტების შეძენისაგან.

# მიხეილ სააკაშვილი: „ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს ნუ ეთამაშებით!“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ურჩევს, ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს ნუ ეთამაშება. მან ამის შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე ივანიშვილის სიტყვით გამოსვლის შეფასებისას განაცხადა. მისი მოსაზრებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან კოსოვოს პარალელის გავლება გაუმართლებელია.

„რაც მოვისმინე, პრემიერ-მინისტრმა თქვა შემდეგი: თურმე ერთადერთოი განსხვავება ის არის, რომ კოსოვომ დაუშვა ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი თავის ტერიტორიაზე, აფხაზეთი და ცხინვალი არ უშვებენ და ამის გამო მათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში წარმომადგენლობა გაუჭირდებათ. მინდა გავახსენო პრემიერ-მინისტრს, რომ კოსოვო და აფხაზეთი ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. ასეთი შედარებები შეიძლება გააკეთოს მხოლოდ რუსმა მოღვაწემ და არა რომელიმე სალად მოაზროვნე ევროპელმა პოლიტიკოსმა და, მითუმეტეს, ქართველმა პოლიტიკოსმა“, –– აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი მოსაზრებით, ამ სტილით პარალელების გავლებაც კი კოსოვოს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და ჩვენს რომელიმე ტერიტორიას შორის არის სამართლებრივად სრულიად მიუღებელი. ამას შეიძლება პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები ჰქონდეს ჩვენი ქვეყნისთვის.

„როდესაც ჩვენი არაკეთილმოსურნე დეპუტატი გეკითხება იმაზე, რომ საქართველომ ჩაიდინა აგრესია აფხაზებისა და ოსების მიმართ, ამას მგონი, საქართველოს ლიდერი არ უნდა პასუხობდეს იმით, რომ ჩვენ მართლაც ბევრი შეცდომა დავუშვით გასულ წლებში. ეს არ არის ის პასუხი, რომლის მოსმენაც ჩვენგან უნდა მსოფლიოს, რადგან მაშინ ჩვენ ვიღა დაგვიცავს, როცა თვითონ ჩვენს პოზიციებს არ ვიცავთ. ვინ რატომ ამოიღებს ხმას, ვინ რატომ ჩამოვა აქ და დადგება ჩვენ გვერდით, ვინ რატომ მოგვცემს ხმას, ვინ გადაარჩენს საქართველოს დამოუკიდებლობას, როცა ერთ-ერთი ლიდერი გამოდის და კითხვაზე –– იყო თუ არა აგრესია – ამბობს, ხო, რა ვქნა, იყო, რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა დავუშვით და მომავალში აღარ ვიზამთ. ეს არ არის ის, რასაც უნდა ვაკეთებდეთ. ტერიოტორიული მთლიანობის საკითხებს ნუ ეთამაშებით, რადგან ეს ჩვენი მომავლის საკითხია“, –– აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ ამით ისეთი რამ შეიძლება, გავაფუჭოთ, რომ მერე ვერანაირად გამოვასწოროთ.



მედიანიუსი

# დღეს საქართველოში ქარი გაძლიერდება

დღეს სინოპტიკოსები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქარის გაძლიერებას პროგნოზირებენ.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში კი თოვლი. დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა ბარში 7-12 გრადუსს მიაღწევს, მთაში 3-8, ხოლო მაღალ მთაში 0-5 გრადუსს.

სინოპტიკოსები მცირე ნალექს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონშიც პროგნოზირებენ, ბარში წვიმის, მაღალ მთაში კი თოვლის სახით. წვიმასთან ერთად მოსალოდნელია ელჭექიც. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15, ზოგან კი 20-25 მეტრი წამში, რომმელიც დროგამოშვებით 28 მეტრ/წამამდე გაძლიერდება. დღეს თბილისში დროგამოშვებით მოიღრუბლება, თუმცა დღე უნალექოდ ჩაივლის, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 15-20 მეტრი წამში, რომელიც დროგამოშვებით 28 მეტრ/წამამდე გაძლიერდება. აქ ჰაერი 15 გრადუსამდე გათბება.

მედიანიუსი

# ეროვნულ მუზეუმში კონფერენცია გაიმართება

ეკა ირემაშვილი

24 აპრილს ეროვნულ მუზეუმში კონფერენცია გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება ჟილ ოტიესა და იოან მორვანის „აღმოსავლეთ კავკასიის ებრაელები, მათი წარმომავლობა და ენა; კავკასიის ებრაული სათვისტომოები და გლობალიზაცია“. პრეზენტაციას გაუძღვება საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის დირექტორი მარინა მუსხელიშვილი.

კონფერენცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ჩატარდება და მასზე დასწრება თავისუფალია. კონფერენცია ფრანგულად, ქართულ ენაზე სინქრონული თარგმანით წარიმართება.

– საერთაშორისო კონფერენციების ციკლის „კავკასიური სივრცე-მუდმივობა და ევოლუცია“ ფარგლებში საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, თბილისის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი ატარებს ჟილ ოტიესა და იოან მორვანის კონფერენციას „აღმოსავლეთ კავკასიის ებრაელები, მათი წარმომავლობა და ენა; კავკასიის ებრაული სათვისტომოები და გლობალიზაცია“. ჟილ ოტიე ბაქოს კავკასიური ობსერვატორიის წარმომადგენელი, მკვლევარი და დოცენტია, ის არის კვლევების დირექტორი ენებისა და ცივილიზაციების საფრანგეთის ეროვნულ ინსტიტუტში. ლინგვისტიკის დოქტორი და გრამატიკის სპეციალისტი ჟილ ოტიე იკვლევს აღმოსავლეთ კავკასიის ენებს, მათ შორისაა აზერბაიჯანი და დაღესტანი. მისი ნაშრომი ქრიზის ენის შესახებ გამოიცა 2009 წელს. ჟილ ოტიე აღმოსავლეთ კავკასიური ენების გრამატიკის შედარებითი კვლევების მიმართულებით უამრავი სტატიის ავტორია. ბროკმეიერის გამომცემლობის სახელით მან გამოსცა ინგლისურენოვანი კრებული: კავკასიური ენების ასპექტები, წესები და სასრულობა. რაც შეეხება იოან მორვანის, იგი საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ასოცირებული მკვლევარია. საკუთარი პოსტ-სადოქტორო კვლევა მან ანატოლიის კვლევების ფრანგულ ინსტიტუტში განახორციელა. იმავე ინსტიტუტში იოან მორვანი სტამბოლის ურბანულ ობსერვატორიას თანახელმძღვანელობს. ნაშრომი დაიცვა ურბანიზმში თემაზე: ურთიერთგაცვლის პრაქტიკები ურბანულ ტერიტორიებზე. მისი უამრავი კოლექტიური პუბლიკაცია, სტატია, თუ ნაშრომი გამოქვეყნდა სხვადასხვა უცხოურ ჟურნალში. ავტორი განსაკუთრებით დაინტერესებულია ტულუზისა და სტამბოლის ურბანული ცხოვრებით და იკვლევს ამ ქალაქების ურბანული მოწყობის პროექტებს, უბრანულ მარკეტინგს, ვაჭრობისა და კონსომაციის სოციალურ გეოგრაფიასა და ურბანული ყოფის ფილოსოფიას, – აცხადებს ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელი მარიამ კვესელავა.

მისივე თქმით, პირველ ნაწილში ჟილ ოტიე წარმოადგენს ჯუჰუროებს, იგივე „მთის ებრაელებს“, რომლებიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული სახლობენ აღმოსავლეთ კავკასიაში – ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და დაღესტანში.

– ისინი საუბრობენ ჯუჰუროს ენაზე, თათური ჯგუფის ირანულ ენაზე, რომელიც მომდინარეობს ირანულთან დაახლოებული, სასანიდების ეპოქაში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გავრცელებულ, სალაპარაკო სპარსულთან დაახლოებული ენა, პროტო ენისაგან. ჯუჰუროების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა ოტიე შეეხება მათი ისტორიის ყველაზე ნიშანდობლივ ეტაპებს ჯუჰუროების წარმოშობიდან მათი დიდი ნაწილის ემიგრაციამდე რუსეთსა და ისრაელში. პრეზენტაციის მეორე ნაწილს კი გაუძღვება იოან მორვანი, რო-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები ფართების შესასყიდად დახმარებას ითხოვენ

მერი ნამორაძე

კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა ნაწილი დევნილთა სამინისტროს ფართების შესყიდვაში დახმარებას სთხოვს. ფართის მესაკუთრენი საკუთარ ქონებას ყიდიან და იქ მცხოვრებ დევნილებსაც, რომლებიც წლების განმავლობაში ადაპტირდნენ ახალ გარემოსთან, ფართის შესყიდვის დიდი სურვილი აქვთ, შესასყიდი თანხები კი – არა. დევნილთა არასამთავრობო სექტორი კარგა ხანია ხელისუფლებას კერძო სექტორში მცხოვრები დევნილებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდებს. როგორც ამბობენ, დევნილთა სამინისტროსთვის პრიორიტეტული კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები იყვნენ და დღემდე ასე გრძელდება. ყველაზე მეტად კი კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები ზარალდებიან, რომლებიც ათეული წლებია ქირას იხდიან.



გუშინ დევნილთა სამოქალაქო კოალიციამ დევნილთა მინისტრს სოფელ წინუბნიდან დევნილებთან ერთად მიმართა. როგორც კოალიციის ხელმძღვანელმა, ლელა გულედანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ამჯერად სერიოზული პრობლემა დევნილი ოთარ გეთიას ოჯახს შეექმნა:

– ამ ადამიანს საჭიროება აქვს დროულად მიიღოს ბინა. სოფელში პატარა ფართი აქვს, რომელსაც მესაკუთრე ჰყავს და აღარ ტოვებს იმ ფართში, ითხოვს თანხის გადახდას. 6 ათას დოლარს ითხოვს მესაკუთრე. ჩაწერაც იქ აქვს გეთიას. პატარა ბოსტანს უვლის, ბავშვი ჰყავს ცერებრალური დამბლით ავად. თავადაც ომის ვეტერანი და მეორე ჯგუფის ინვალიდია. ცოლიც ნაოპერაციევი და ინვალიდი ჰყავს. მოკლედ, ძალიან მძიმე სოციალური ფონია ამ ოჯახში, სოციალურად დაუცველები არიან და ოჯახის სამივე წევრს მკურნალობა სჭირდება. პატარა მიწურია ის ოთახი, სადაც ცხოვრობენ. რამდენი ხანია სამინისტროსთან მოლაპარაკებას აწარმოებს ოჯახი, მაგრამ ვერავინ იღებს გადაწყვეტილებას. ქვედა დონეზე, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, ვისთანაც გვქონდა საუბარი, გვპირდებიან, რომ განიხილავენ ამ საკითხს და შეიძლება დადებითად გადაწყდეს. წინა ხელისუფლებაც პირდებოდა, რომ ბინის პრობლემას მოუგვარებდნენ. ამდენს კი არ იცდის მესაკუთრე. თუ მესაკუთრემ გამოაგდო, წასასვლელი ნამდვილად არსად აქვთ.

ჩვენს შეკითხვას, უშვებს თუ არა ასეთ გამონაკლის შემთხვევებს დევნილთა სამინისტრო, გულედანმა გვიპასუხა, რომ ნახევარი წლის წინ ორ გაჭირვებულ დას, რომლებიც კერძო სექტორში ცხოვრობდნენ და ბინა არ ჰქონდათ, სამინისტრო დიდი წვალების და აქტიურობის შემდეგ დებს დაეხმარა და ფართი შეუსყიდა. გეთიების პრობლემის მოგვარებაც შეიძლება.

– მოგვმართეს ასევე ისანში მცხოვრებმა დევნილებმა, სადაც მესაკუთრე ითხოვს ასევე ფასის გადახდას ფართში – 24 ათას ლარს. სტრატეგიაში წერია, რომ დევნილთათვის შეიძლება სამინისტრომ გამოისყიდოს ბინები. თუკი მშენებლობა უფრო ძვირი უჯდება და დევნილთა გადაყვანა ახალ ბინებში უფრო რთულია, ვფიქრობთ, უმჯობესია, რაც იაფი დაჯდება, ის გავაკეთოთ – უკვე ადაპტირებულები არიან დევნილები, მეპატრონე თანახმაა და დიდ თანხებზეც არ არის საუბარი. ვფიქრობ, დევნილთა სამინისტრომ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა. ასეთ სიტუაციაში ბევრი დევნილია, რომლისგან მესაკუთრე გარკვეულ თანხას ითხოვს. თუკი ამ მიმართულებით კვლევას ჩაატარებენ და გარკვეულ სტრატეგიას დასახავენ, კარგი იქნება, რადგან ბევრს აქვს ეს პრობლემა. დევნილების ინფორმირება ამ კუთხით კარგი იქნებოდა – შედგება თუ არა მოლაპარაკება მესაკუთრესთან, დაწესდება თუ არა გარკვეული ზღვარი ფასთან დაკავშირებით – რის მაღლა ან რის დაბლა არ იხდის ფასს სამინისტრო, მოლოდინის რეჟიმი როგორი უნდა ჰქონდეთ ასეთი კატეგორიის დევნილებს. კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით დროებით გამოკვეთავს სამინისტრო დამოკიდებულებას, – გვითხრა გულედანმა.

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში კობა ცხაკაიას რომანის განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გაიმართა განხილვა კობა ცხაკაიას რომანისა – „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, წიგნის ეს მოხდენილი სათაური ცნობილ ეტრუსკულ სიმღერას ეყრდნობა და რომანიც არანაკლებ შთამბეჭდავია.

მისი შეფასებით, კობა ცხაკაია მრავალმხრივი პიროვნებაა. იყო წლები, როცა შემოქმედებითი მრავალმხრივობა ჩვენში ნაკლადაც კი მიიჩნეოდა, დღესდღეობით კი ისევე ვუყურებთ, როგორც დასავლეთში. იგი არამარტო რომანისტია, არამედ დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, ლექტორი და ყველა მისი ასპექტი საგულისხმოა. დღეს კობა ცხაკაია ნაკლებად არის წარმოჩენილი, მაგრამ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მისი პიესები და რომანები ღრმა გააზრების, ფართო მსჯელობის საგნად იქცევა.

„კობა ცხაკაიას რომანში ბოლო 2 ათწლეულის რეალობა კარგად არის გამოხატული და ერთ-ერთი სანდო მეგზურია მათთვის, ვისაც სურს, ამ ჟამის აბურდულ რეალობაში გაერკვიოს“, –– აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც მომხსენებელმა, პროფესორმა ნინო ვახანიამ განაცხადა, ნაწარმოებს ორიგინალური აგებულება და თავისებური სტრუქტურა აქვს. გამოყენებული მკითხველი, შესაძლოა, დააბნიოს იმან, რომ სიუჟეტი თანმიმდევრული არ არის, მაგრამ შემდეგ მთლიანდება.

„მასში 90-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფაა წარმოჩენილი: აფხაზეთის ომი, ძარცვა, მკვლელობა, ადამიანების გატაცება, ნარკოტიკების მოხმარება, იარაღზე დაფუძნებული ყოფა, სადაც სიფაქიზის, სუფთა სულის შენარჩუნება შეუძლებელი ხდება. ნაჩვენებია გამქრალი სულიერება, დარღვეული ღირებულებები და დაცემული ზნეობა თავისი მძიმე შედეგებით. ეს ის ტრაგიკული მოვლენებია, რომლებსაც მწერლიბა კიდევ ბევრჯერ უნდა მიუბრუნდეს“, –– აღნიშნა ნინო ვახანიამ.

მომხსენებელმა ხაზი პერსონაჟთა „აჭრილ“ მეტყველებასაც გაუსვა, რომელიც ასეთივე აჭრილი ყოფის ანარეკლია.

როგორც ნონა კუპრეიშვილმა განაცხადა, „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“ ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ის მკითხველისათვის შემდგარი წიგნია.

„რომანი დაკარგულ თაობას შეეხება, რომელიც ამ საშინელ კატაკლიზმებში მოექცა. ჩვენი ქართული მწერლობა კი ამ მოვლენებს გაურბის. 90-იანი წლები ჩვენთვის ტრაგიკული წლები იყო და ავტორის სურვილია, ამ წლებს ახალგაზრდობაც გაეცნოს“, –– აღნიშნა ნონა კუპრეიშვილმა.

მარინე ტურავამ გამოსვლისას ხაზი იმას გაუსვა, რომ რომანის თემა ძალიან მძიმეა და კომპოზიციურადაც რთულად არის აგებული. ავტორი პოსტმოდერნისტულ სტილს მიმართავს და თხრობა კალეიდოსკოპური და გაბნეულია.

„ქართველი მკითხველი კალეიდოსკოპურ და გაბნეულ თხრობას მიჩვეულია. კობა ცხაკაია ამგვარი წყობით საკუთარ მსოფლმხედველობასა და მენტალობასაც ავლენს : იქ, სადაც ასეთი ტრაგიკულია ყოფა, ნაწარმოებიც გარეგნულად ასეთივე ქაოტური უნდა იყოს. რომანში ამბები კადრებივით ენაცვლება ერთმანეთს – ეს მისი რეჟისორული ხედვაა“, –– აღნიშნა მარინე ტურავამ.

მისი შეფასებით, რომანის უმთავრესი დილემაა, ღირს თუ არა ბრძოლა სიმართლისათვის, როცა იცი, რომ ეს ბრძოლა თავიდანვე განწირულია.

როგორც შეხვედრაზე ერთხმად აღინიშნა, მკითხველებს სურვილი გაუჩნდათ, კობა ცხაკაიას რომანი ფილმად ან სპექტაკლად იხილონ, რადგან ეს გამზადებული სცენარია. ზურაბ კანდელაკმა კი იკითხა: „“გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“ – ასეთი სათაურის წიგნი იმიტომ ხომ არ დაიწერა, რომ ცოცხლებს არ გადავაბიჯოთ?!“

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: მაია ჯალიაშვილი, მანანა გაბაშვილი, პაატა ჩიქოვანი, ლევან ქურციკაშვილი, ციური ჩომახიძე. მათ არამარტო რომანზე ისაუბრეს, არამედ იქ წამოჭრილ უმწვავეს ზნეობრივ და საზოგადოებრივ პრობლემებზე. შეხვედრის ბოლოს კობა ცხაკაიამ პასუხი გასცა მსმენელთა არაერთ შეკითხვას.

მედიანიუსი

# მანანა ბერიკაშვილი ლევილში ჩავიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მხარის – ოფიციალური საქართველოსა და ფრანგი ქართველების ნებას, იმსჯელეს ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ისტორიული აღიარების საკითხზე, შეთანხმდნენ მემორიალური დაფების გაკეთების, ძეგლების დადგმის, შატოსა და მთელს მამულში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, განიხილეს კულტურის ცენტრის ამოქმედების თემა, ლევილის ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად მისი ტრადიციის გაგრძელება, რაც სიმბოლურობას შეუნარჩუნებს ქართველთა მიწას საფრანგეთში და სადაც საქართველოს კულტურის სამინისტრო ჩაერთვება.

ქართული დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში საფრანგეთში, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში კოტე სურგულაძე ხელმძღვანელობდა, შედგა შეხვედრა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტური ევროპის დეპარტამენტის დირექტორთან ერიკ ფურნიესთან. ლევილის კომისიის თავმჯდომარემ ერიკ ფურნიეს პარიზში, საქართველოს საელჩოში გამართული კომისიის სხდომის შედეგები გააცნო და საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის შთამომავლების ნებაზე ესაუბრა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. ფრანგმა დიპლომატებმა დააფიქსირეს, რომ ინტერესით ელოდნენ ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებასა და პოზიციას. ერიკ ფურნიემ კმაყოფილება გამოთქვა ამ კონკრეტული გეგმების მიმართ და აღნიშნა, რომ ფრანგულ-ქართული კულტურული ცენტრის ამოქმედებით ლევილში კიდევ ერთი კერა შეიქმნება ამ ორ ქვეყანას შორის. ფრანგულმა მხარემ მინისტრთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ოფიციალური საფრანგეთი აღიარებს ლევილის ისტორიულ მნიშვნელობას საქართველოსთვის და პირობის თანახმად, ლევილის მამულის გადასახადი სიმბოლური (ერთპროცენტიანი) იქნება.

ვიზიტის ფარგლებში საუბარი შეეხო ქართულ ემიგრაციასაც. კოტე სურგულაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მიგრაციის შესახებ კანონპროექტზე მუშაობს. ინიციატივას დადებითად გამოეხმაურა ფრანგი დიპლომატი და რეკომენდაცია გაუწია ქართულ მხარეს საფრანგეთის ემიგრაციის ეროვნულ ოფისთან, რაც ხელს შეუწყობს ემიგრაციის დაბრუნებას სამშობლოში და მათი დასაქმების საკითხს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ორი ფრანგი დიპლომატი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან, კავკასიისა და აზიის სამმართველოს უფროსი ფრანსუა დელაუსი და კოორდინატორი საქართველოს საკითხებში ჟულიენ პოპერი, ქართული დელეგაციის წევრები – დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მუხრან გულალაშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი გოჩა ჯავახიშვილი. დელეგაციის წევრები ლევილსაც ესტუმრნენ. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ ლევილის მამულის მფლობელებს, მათ შორის ნათელა ჟორდანიას, ირენ ციციშვილს, ეთერ წერეთელს და ადგილზე გაეცნენ შატოსა და მთელ მამულში არსებულ მდგომარეობას. ლევილი 1921 წელს საქართველოდან დევნილ მთავრობას და მათ შთამომავლებს ეკუთვნოდათ, დღეს იგი 5 პიროვნების მფლობელობაშია.

საფრანგეთში დაგეგმილი ვიზიტის დასასრულს სახელმწიფო მინისტრი კოტე სურგულაძე, დელეგაციასთან ერთად ქართული დიასპორის ნაწილს შეხვდა, ასოციაციის „ლაზი" წევრებს, რომლის ხელმძღვანელები დაჩი ჩაგანავა და ეკა ბოდოკია არიან, რომელსაც ქართველი ემიგრანტები ხელმძღვანელობენ და ქართული ანსამბლის რეპეტიციასაც დაესწრო.

**ეკა ირემაშვილი**

# ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია რუსეთში იმღერებენ



დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ორ თუ სამდღიანი ვიზიტი იქნება და ქართული დელეგაცია რამდენიმე დღეში უკან დაბრუნდება.

***– ამბობენ, რომ ამ ღონისძიებას ვლადიმერ პუტინი ატარებს?***

– არ ვიცი, ვინ რას ამბობს, მაგრამ ეს არ იქნება მარტო კონცერტი, ეს იქნება გრანდიოზული ღონისძიება, რომელშიც ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებაც ჩართულია, მარტო ვოლგოგრადის მხარე არ უზრუნველყოფს ამ ყველაფერს, თუმცა გარწმუნებთ, პუტინი არ იქნება ჩართული მომზადების პროცესში.

***– ვლადიმერ პუტინი დაესწრება ამ ღონისძიებას?***

– არ ვიცი, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს.

**პ.ს.** გრიბოედოვის თეატრში ჩაიშალა „რუსული კლუბის მიერ" ორგანიზებული გასტროლი, რომელშიც მონაწილეობა რუსული თეატრის ვარსკვლავებს ირინა ალფეროვას და ანდრეი სოკოლოვს უნდა მიეღოთ. საქართველოში მათ უნდა ეთამაშათ ჟან პოლ სარტრის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „დახურულ კარს მიღმა". როგორც რუსული კლუბის წარმომადგენელმა განმარტა, გასტროლის ჩაშლის მიზეზი ბილეთების არ გაყიდვა გახდა.

– სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა საქართველოში მაყურებელი, რომელიც ამ სპექტაკლით დაინტერესდებოდა და ბილეთებს შეიძენდა. ამ გასტროლის ჩაშლის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

**ეკა ირემაშვილი**

**მარინე ბოიაჯიანის მემკვიდრეთა საყურადღებოდ**

19.10.2009 წ. გარდაცვლილი მარინე ბოიაჯიანის (დაბადებული 10.11.1965წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, IV სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 10.05.2013 წ.-მდე.

# ეროვნულ მუზეუმში კონფერენცია გაიმართება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მელიც აღწერს ჯუჰუროების, კერძოდ კი იმ ჯგუფების ამჟამინდელ მდგომარეობას, რომლებიც ქუბაში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ბინადრობენ. – ბურგადა ექსკლუზიურად ებრაული უბანია. XX საუკუნის დასაწყისში ჯგუფი 18.000 სულს ითვლიდა, უკანასკნელ ხანებში კი მათი რიცხვი 3000-დან 1000-მდე შემცირდა. ამის პარალელურად მათი ტრადიციები გაქრობის პირასაა. სწორედ ამის გამოძახილი გახლავთ ის, რომ მოსკოვში ქონებამოხვეჭილი ებრაელები აშენებენ ებრაული კულტურისა და ისტორიის მუზეუმს. მოსკოვის მეტროპოლიაში მცხოვრები ებრაელების მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება ბაქოში დარჩენილი და ისრაელში, განსაკუთრებით აკრასა და აკივაში მცხოვრები ებრაელების მდგომარეობისაგან. პრეზენტაციის ფარგლებში ეს ფენომენიც იქნება გაანალიზებული, – აღნიშნა ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელმა.

2 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართება მორიგი კონფერენცია, რომლის თემაა „კავკასიიდან ოსმალეთის ჰარამხანებში. დამონებული ქალების ბედი ოცნებებსა და რეალობას შორის", ამ კონფერენციას ჟულიეტ დიუმა წარმოადგენს, რომელიც ჩატარდება ფრანგულად, ქართულ ენაზე სინქრონული თარგმანით და მასზე დასწრება თავისუფალია.

– ჩვენი ინსტიტუტის მხარდაჭერით ჯგუფმა „მარშმა" წარმოადგინა ქორეოგრაფიული და პოეტური პიესა „ნაყოფიერი ფანტაზიები". ჯგუფში შედიან მოცეკვავე-მომხსენებლები სარა პელერენ ოტი და გრეგუარ დიუბუა, ასევე გიომ შოსონი, ვიოლონჩელო. ეს ღონისძიება თეატრში ათონელზე გათამაშდა. „ნაყოფიერი ფანტაზიები" წარმოადგენს ქორეოგრაფიულ პიესას სამი პერსონაჟისა და ვიოლონჩელოსთვის. ხმოვანი და ფიზიკური ვარიაციებითა და პოეტური ჩანართებით ხაზგასმული დიალოგით სამ ხმაში „ნაყოფიერი ფანტაზიები" გვიხატავს სამი ინდივიდის პორტრეტს. მოძრავი და მერყევი სულიერი არსებები, მათი ფანტაზიის კვალად, ქსოვენ მგრძნობიარე დრამატურგიას და ინდივიდუალური ძალისხმევის გამოხატვით ქმნიან საერთო არქიტექტურას, რომელსაც ისინი განუწყვეტლივ ამდიდრებენ სრულყოფილი ავთენტურობის მიღების მიზნით. „არაფერს შეუძლია, შეიწოვოს სიცარიელეში გატყორცნილი მზერა, ამბობს ის, ხორციელი ვნების დანახვა შეუძლებელია". „ნაყოფიერი ფანტაზიები" წარმოაჩენს ჩვენს განუსაზღვრელ შესაძლებლობას შევქმნათ რეალური სამყარო და მოვარგოთ ის საკუთარ მასშტაბებს. „ნაყოფიერი ფანტაზიები" არის ადამიანების ფანტაზიის ჰიმნი, მშვიდი გაპარვა ჩვენი იდენტური გაუგებრობებიდან, – განმარტავს ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელი.

ფრანგული ინსტიტუტი ფრანგული კინოკლუბის ეგიდით ყოველი თვის მეორე და მეოთხე ოთხშაბათს აჩვენებს მაყურებლების მიერ შერჩეულ ფილმს. რჩეულს ფილმს კი მაყურებელი ფრანგული ინსტიტუტის ფეისბუქის გვერდზე არჩევს. გამარჯვებულ ფილმებს ფრანგული კინოკლუბი შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აჩვენებს და მათზე დასწრება თავისუფალია.

**2011 წლის 3 დეკემბერს გარდაცვლილი ემა სურენის ასული პაპაშვილის, რომელსაც 2010 წლის 18 ნოემბერს გაცემული ჰქონდა ანდერძი, დამოწმებული ნოტარიუს თამარ ჯიქურაულის მიერ, ანდერძის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მიმართოთ სანოტარო ბიუროს, მდებარეს ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №24-ში ნოტარიუს თამარ ჯიქურაშვილს ტელ: 599-92-29-10; 295-03-43.**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06
- დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423
- ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# გიორგი ალთუნაშვილი: „იბერიას მხარდაჭერა არ მოაკლდება“

26-28 აპრილს თბილისის სპორტის სასახლე უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალს მასპინძლობს. ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის ტიტულის მოსაპოვებლად ქართული „იბერია-სტარი“ ესპანური „ბარსელონა“, მოსკოვის „დინამო“ და ყაზახეთის „ქაირათი“ იბრძოლებენ.

ტურნირის დაწყებამდე ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებას მართავს, რომელიც შეჯიბრების შესახებ გულშემატკივრებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება. 22 აპრილს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გასართობი თამაშები მოეწყო. ბავშვებმა და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მოთამაშეებმა გრეხეტბოლი ითამაშეს.

იქვე გათამაშდა ტურნირზე დასასწრები ბილეთები. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, ფუტსალის ოთხთა ფინალის ელჩი არჩილ არველაძე, „იბერია-სტარის“ პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი და უეფას წარმომადგენლები დაესწრნენ.

ამასობაში უეფას ვებგვერდზე „იბერია სტარის“ კაპიტნის, გიორგი ალთუნაშვილის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***– რას ნიშნავს თქვენთვის უეფას ფუტსალის თასზე მონაწილეობა?***

– ამ ტურნირის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა, ნებისმიერი მოთამაშის მთავარი მიზანია. ეს ფუტსალისტისთვის კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

***– განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხშირ შემთხვევაში ფინალურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯი გაშორებდათ.***

– ვფიქრობ, ეს მძიმე შრომისა და საკუთარი საქმისადმი თავდადების შედეგია, რომლისთვისაც მთელი ამ ხნის განმავლობაში თავს არ ვზოგავდით. თავისი წვლილი შეიტანეს კლუბის პრეზიდენტმა, მწვრთნელებმა და თითოეულმა მოთამაშემ.

***– ელიტ-რაუნდში გულშემატკივრების საუცხოო მხარდაჭერა გქონდათ. ამ კვირაში დაახლოებით იგივეს ელით?***

– შარშან ოქტომბერში, ელიტ-რაუნდში „იბერიას“ მიერ ჩატარებულ მატჩებს საშუალოდ 6.000 მაყურებელი ესწრებოდა. სითბოსა და წარმოუდგენელ მხარდაჭერას ვგრძნობდით, მაგრამ ფინალურ სტადიაზე ყოველივე უფრო მძლავრი იქნება. ვფიქრობ, სპორტის სასახლე გაივსება. გულშემატკივრების უმეტესობა საქართველოდან იქნება და „იბერია სტარი“ მხარდაჭერის გარეშე არ დარჩება.

***– რამდენად მხურვალე გულშემატკივრები ჰყავს „იბერიას“?***

– მართლაც, მხურვალე ქომაგები გვყავს. როდესაც თამაში დახურულ შენობაში და შეზღუდულ სივრცეში ტარდება, მხარდაჭერა უფრო ინტენსიურია. საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათი გავლენა შესამჩნევია, როგორც ეს ელიტ-რაუნდში, ჩვენ მიერ „ბენფიკას“ წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩში იყო. გიჟური მხარდაჭერა გვქონდა, რაც უდავოდ დაგვეხმარა.

***– გათამაშებიდან ტიტულის ექსმფლობელი „ბენფიკა“ გამოთიშეთ, ხოლო ამჯერად „იბერიას“ შეხვედრა ტურნირის კიდევ ერთ ყოფილ გამარჯვებულთან – მოსკოვის „დინამოსთან“ ელის. შემდეგ, თამაში „ბარსელონასთან“ ან „ქაირათთან“ მოგიწევთ, რომლებსაც ფინალურ ტურნირებზე თამაშის მდიდარი გამოცდილება აქვთ.***

– „ბარსელონამ“ და „დინამომ“ შარშანდელ ფინალში ითამაშეს, ხოლო „ქაირათი“ ბოლო წლებში ოთხეულში რეგულარულად ხვდება. ვფიქრობ, „იბერია“ მათ ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. მით უმეტეს, შინაურ ატმოსფეროში ვითამაშებთ და ეს გარკვეულ უპირატესობას მოგვანიჭებს.

***– საქართველოში „იბერიას“ კონკურენტი არ ჰყავს. როგორ ემზადებით ევროთასებისთვის?***

– სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატი ისეთი ძლიერი არ არის როგორც ესპანეთის ან რუსეთის. „ბარსელონა“ და „დინამო“ მთელი სეზონის განმავლობაში სერიოზულ მეტოქეებს ეთამაშებიან. ჩვენ კი, ესპანელებისგან და რუსებისგან განსხვავებით, ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზოთ, რათა უმაღლესი დონის გუნდების წინააღმდეგ თამაშში შანსი გვქონდეს.

***– არის შანსი, რომ „იბერიას“ წარმატებამ საქართველოს ნაკრების წინსვლას ხელი შეუწყოს? შესაძლებელია, რომ „იბერია სტარი“ მისაბაძი მაგალითი გახდეს?***

– „იბერია სტარი“ საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი და ყველაზე ცნობილი გუნდია. ვფიქრობ, ქვეყანაში ფუტსალის პოპულარობა დიდწილად ჩვენი კლუბის დამსახურებაა. როდესაც გულშემატკივრები „იბერიას“ წარმატებას ხედავენ, ანალოგიურ შედეგებს ნაკრებისგანაც ელიან.

# თორნიკე შენგელია: „ვაშინგტონთან ბოლომდე არ ვიცოდი, ორმაგ დუბლს რომ შევასრულებდი“

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩში „ბრუკლინ ნეთსის“ 21 წლის ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ ორმაგი დუბლი მიითვალა. საქართველოს ეროვნული ნაკრების იმედმა ყველას დაანახა, რომ ის არჩევანი, რომელიც ნბა-ს ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა მიმდინარე სეზონის წინ შენგელიას გუნდში აყვანით გააკეთა, მართებული იყო. მერე რა, რომ შენგელიას მიმდინარე სეზონში ნბა-ში თამაშმა ძალიან ცოტა ხნით მოუწია – მთავარი ისაა, რომ ქართველ ფორვარდს ისეთი სპეციალისტები ენდნენ და გუნდში აიყვანეს, რომლებიც საკალათბურთო საკითხებში იშვიათად ცდებიან. შენგელიამ რეგულარულის ბოლოსწინა მატჩში, როცა მოედანზე ხანგრძლივად მოუწია ყოფნა, 11 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. ეჭვი არაა, ქართველ ფორვარდს მომავალ სეზონში უფრო მეტხანს ათამაშებენ. მანამდე კი შენგელიას ნბა-ს პლეი ოფის მატჩები, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატზე თამაში ელის.

შენგელიას ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– რეგულარული სეზონი დასრულდა. მოკლედ როგორ შეაფასებ მას?***

– ძალიან საინტერესო რეგულარული სეზონი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არ მითამაშია, რაც ძალიან მინდოდა, იმას ვიტყვი, რომ დიდი გამოცდილება მივიღე.

***– თვლი თუ არა, რომ უმჯობესი იყო, შედარებით ნაკლებამბიციურ გუნდში მოხვედრილიყავი, სადაც სავარაუდოდ მეტი სათამაშო დრო გექნებოდა?***

– ნაკლებად ამბიციურ და სუსტ გუნდებს დრაფტზე არაერთი არჩევანი ჰქონდათ „ფილადელფიამდე“, ასევე „ბრუკლინამდე“, მაგრამ ალბათ მათი მხრიდან არ იყო დაინტერესება. ბრუკლინელებმა კი „ფილადელფიისგან“ არჩევანის უფლება იყიდეს და მე ამიყვანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ რაღაც გეგმა აქვს ჩემთან დაკავშირებით და იმედი მაქვს, მას მალე განახორციელებენ.



***– რამდენად ძლიერია ნბა-ს განვითარების ლიგა და რეალურად შეგმატა თუ არა გამოცდილება იქ ჩატარებულმა 6-მა მატჩმა?***

– დ ლიგა ძალიან ძლიერ ტურნირად ითვლება იმიტომ, რომ იქ თამაშობენ ნბა-ს მოქმედი, ან უკვე ნათამაშები კალათბურთელები. არაერთი ძლიერი კალათბურთელი ირიცხება განვითარების ლიგაში, ასევე ბევრ ნბა-ს წამყვან კალათბურთელს უთამაშია დ ლიგაში. მე იქ ჩატარებულმა მატჩებმა საკმაო გამოცდილება შემმატა.

***– ნბა-ს პირველივე მატჩში, რომელშიც საკმარისი სათამაშო დრო მოგეცა, ორმაგი დუბლი შეასრულე. როგორ შეაფასებ ამ ფაქტს, მომავალშიც შეძლებ ხოლმე შედეგიან თამაშს, თუკი შანსი მოგეცემა?***

– „ვაშინგტონთან“ მატჩში ბოლომდე არ ვიცოდი, ორმაგ დუბლს რომ შევასრულებდი და როცა ოქმის ნახვის შემდეგ გავიგე, ძალიან გამეხარდა. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო და ღმერთის წყალობით, ამ მატჩში ორმაგი დუბლის შესრულება მოვახერხე. მომავალ მატჩებშიც იგივე შემართებით ვაპირებ თამაშს და ვნახოთ, რა გამომივა...

***– თვლი თუ არა სადღეისოდ საკუთარ შესაძლებლობებს საკმარისად, რომ ნბა-ს მატჩებში სოლიდურად ითამაშო?***

– ალბათ კი, თუმცა ძნელია ამის დარწმუნებით თქმა. შესაძლოა, მწვრთნელმა მეტი ნდობა გამოიჩინოს ჩემ მიმართ ამა თუ იმ მატჩში, მაგრამ ძირითადად მე ნბა-ს ბევრი ძლიერი კალათბურთელისა და გუნდის წინააღმდეგ არ მითამაშია. სწორედ ამიტომ ვემზადები და ვვარჯიშობ, რომ კარგად ვითამაშო და დიდი კონკურენციის პირობებში ლიგაში ადგილი დავიმკვიდრო.

***– რა ცვლილებაა შარშან ამ დროინდელ და დღევანდელ თორნიკე შენგელიას შორის, როგორც სპორტული, ისე პიროვნული თვალსაზრისით?***

– გამოცდილება დამიგროვდა როგორც სპორტულ, ისე პირად ცხოვრებაში.

***– „ვაშინგტონის“ შემდეგ „ბრუკლინმა“ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩი „დეტროიტთან“ ჩაატარა, რომელსაც სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა მწვრთნელმა წინა შეხვედრისგან განსხვავებით გუნდის ლიდერები ათამაშა, სათადარიგოები კი ნაკლებად დატვირთა. შენ კი განაცხადში არ იყავი, არადა, ველოდით, რომ კვლავ გათამაშებდა.***

– მეც ველოდი, რომ მათამაშებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მწვრთნელს სხვა გეგმა ჰქონდა. ხანდახან მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ითამაშებ, მწვრთნელმა ის უნდა გააკეთოს, რაც დაგეგმილი აქვს, იმიტომ, რომ მას თავისი პროგრამა აქვს შესასრულებელი.

***– პლეი ოფში ბოლო წამს ასცდით ზაზა ფაჩულიას გუნდს და შეხვდით „ჩიკაგოს“. როგორ შეაფასებ მეტოქეს და როგორ ფიქრობ, რისი პოტენციალი გააჩნია „ბრუკლინს“ პლეი ოფში?***

– „ჩიკაგო“ ძალიან ძლიერი გუნდია. ყველა სტილის და შესაძლებლობის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, თუმცა ჩვენც არანაკლებად ძლიერი კალათბურთელები გვყავს. ვნახოთ, წინ ძალიან საინტერესო სერია გველის და იმედი მაქვს, მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ. მოედნის უპირატესობა საკმაოდ ბევრს ნიშნავს და ვეცდებით მის გამოყენებას.

***– რას ელი მომავალი სეზონიდან? კლუბის ხელმძღვანელობა ალბათ მეტ სათამაშო დროს დაგითმობს.***

– ჯერ ამის თაობაზე „ბრუკლინის“ ხელმძღვანელობასთან არ მისაუბრია.

***– რას იტყვი „ბრუკლინის“ სხვა ახალწვეულებზე?***

– მირზა ტელეტოვიჩი დანარჩენ ახალწვეულებზე, მათ შორის ჩემზე უფრო გამოცდილია. ის უფრო დიდი ხანია, კალათბურთს პროფესიონალურ დონეზე თამაშობს. რაც შეეხებათ ტაიშონ ტეილორს და კრის ჯოზეფს, ისინი კოლეჯიდან მოდიან და ამერიკულ კალათბურთს ჩემზე კარგად იცნობენ. ვფიქრობ, დიდი კალათბურთის თამაშის პერსპექტივა ყველას გაგვაჩნია და „ბრუკლინი“ იქნება თუ ნებისმიერი სხვა გუნდი, სოლიდურ დახმარებას ჩვენს სათქმელს ვიტყვით.

***– ზაზა ფაჩულიას ტრავმა დიდი დანაკლისია. შენი აზრით, როგორ შეიცვლება ნაკრების ხუთეული ზაზას არყოფნის შემთხვევაში და რამდენად მოხერხდება მისი სრულყოფილი შეცვლა?***

– ზაზა ძალიან დიდი დანაკლისია საქართველოს ნაკრებისთვის. არ ვიცი, ხუთეული როგორ შეიცვლება, თუმცა არ მგონია, ამ ეტაპზე მოხერხდეს ფაჩულიას სრულყოფილი შეცვლა, იმდენად დიდი ძალა იყო ის ჩვენი გუნდისთვის.

***– რას იტყვი მომავალ მეტოქეებზე – ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი, ჩეხეთი. რამდენად რეალურია სამეულში მოხვედრა?***

– რა თქმა უნდა, ძალიან რეალურია სამეულში მოხვედრა. იმას არ ვამბობ, რომ ჯგუფიდან გასვლა იოლი იქნება, უბრალოდ, სათანადოდ უნდა შევაფასოთ თითოეული მეტოქე და ყველა შეხვედრაში მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. წინ ძალიან საინტერესო თამაშები გველის.

***– როგორ შეაფასებ ნაკრების მოსამზადებელ გეგმას?***

– წინა წელთან შედარებით უფრო მეტი ამხანაგური მატჩია დაგეგმილი, რაც გუნდის შეკვრასა და შეთამაშებაში დაგვეხმარება. დაგეგმილი ყველაფერი კარგადაა, მთავარია ნაყოფიერად ვიმუშაოთ და ევროპის ჩემპიონატს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდეთ.

***– რამდენიმე წელია, უცხოეთში თამაშობ, ამერიკაში კი პირველი სეზონია გადახვედი. ნოსტალგია მანდ რამდენად გაწუხებს?***

– საქართველოდან რომ მივდივარ, სადაც არ უნდა ვიყო, ნოსტალგია ყველგან მაწუხებს. ძალიან ვაფასებ და მიყვარს ჩემი ქალაქი, ქვეყანა. მენატრება ოჯახის წევრები, მეგობრები.

***– ქართული კერძების დაგემოვნება თუ გიწევს?***

– კი, ქართულ კერძებს ხშირად ვაგემოვნებ, რაც დედაჩემის დამსახურებაა. რაც ამერიკაში ჩამოვიდა, არაფერი მაკლია. არა მარტო კერძების მომზადების, არამედ ყველა საქმეში ქეთი გვერდზე მიდგას, რასაც მასში დიდად ვაფასებ.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ საცოლე გყავს. რას იტყვი მასზე და უახლოეს მომავალში ხომ არ აპირებ დაქორწინებას?***

– დიახ, მყავს ჩემთვის უსაყვარლესი და უძვირფასესი ადამიანი. ამ ეტაპზე მარტო ამას გეტყვით. დრო მოვა და ყველა ყველაფერს ნახავს და შეიტყობს.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ასტონ ვილა ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 34 | 27 | 3 | 4 | 78:35 | 84 |
| 2.სიტი | 33 | 20 | 8 | 5 | 59:30 | 68 |
| 3.არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 65:35 | 63 |
| 4.ჩელსი | 33 | 18 | 8 | 7 | 66:35 | 62 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 18 | 7 | 8 | 58:41 | 61 |
| 6.ევერტონი | 34 | 14 | 14 | 6 | 51:38 | 56 |
| 7.ლივერპული | 34 | 13 | 12 | 9 | 61:42 | 51 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 13 | 6 | 14 | 43:44 | 45 |
| 9.სუონსი | 33 | 10 | 12 | 11 | 43:42 | 42 |
| 10.ვესტ ჰემი | 34 | 11 | 9 | 14 | 40:47 | 42 |
| 11.ფულემი | 34 | 10 | 10 | 14 | 44:52 | 40 |
| 12.საუთჰემპტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 47:54 | 39 |
| 13.ნორვიჩი | 34 | 8 | 14 | 12 | 33:53 | 38 |
| 14.სანდერლენდი | 34 | 9 | 10 | 15 | 38:45 | 37 |
| 15.სტოკი | 34 | 8 | 13 | 13 | 30:41 | 37 |
| 16.ნიუკასლი | 34 | 10 | 7 | 17 | 43:60 | 37 |
| 17.ასტონ ვილა | 34 | 8 | 10 | 16 | 36:63 | 34 |
| 18.უიგანი | 33 | 8 | 7 | 18 | 37:60 | 31 |
| 19.ქპრ | 34 | 4 | 12 | 18 | 27:56 | 24 |
| 20.რედინგი | 34 | 5 | 9 | 20 | 37:65 | 24 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-სარაგოსა ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 27 | 3 | 2 | 99:33 | 84 |
| 2.რეალი | 32 | 22 | 5 | 5 | 83:30 | 71 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 21 | 5 | 6 | 57:25 | 68 |
| 4.სოსიედადი | 32 | 15 | 10 | 7 | 57:39 | 55 |
| 5.ვალენსია | 32 | 15 | 8 | 9 | 52:46 | 53 |
| 6.მალაგა | 32 | 14 | 8 | 10 | 45:37 | 50 |
| 7.ბეტისი | 32 | 14 | 6 | 12 | 48:49 | 48 |
| 8.რაიო | 32 | 14 | 3 | 15 | 41:52 | 45 |
| 9.ხეტაფე | 32 | 12 | 8 | 12 | 39:48 | 44 |
| 10.ესპანიოლი | 32 | 11 | 10 | 11 | 42:42 | 43 |
| 11.სევილია | 32 | 12 | 6 | 14 | 48:46 | 42 |
| 12.ლევანტე | 32 | 11 | 7 | 14 | 35:51 | 40 |
| 13.ვალიადოლიდი | 32 | 10 | 9 | 13 | 41:45 | 39 |
| 14.ბილბაო | 32 | 10 | 6 | 16 | 35:57 | 36 |
| 15.ოსასუნა | 32 | 8 | 8 | 16 | 26:36 | 32 |
| 16.დეპორტივო | 32 | 7 | 9 | 16 | 43:65 | 30 |
| 17.გრანადა | 32 | 7 | 8 | 17 | 29:51 | 29 |
| 18.მალიორკა | 32 | 7 | 7 | 18 | 34:64 | 28 |
| 19.სელტა | 32 | 7 | 6 | 19 | 31:47 | 27 |
| 20.სარაგოსა | 32 | 7 | 6 | 19 | 29:51 | 27 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-პადოვა ........................ 0:1

ვერონა-ბრეშა ........................ 4:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-კიოლნი .................. 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-კლერმონი ...................... 4:0

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

ემენი-კამბური ........................ 1:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-გიმარაეში ................ 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-ტერეკი ...................... 0:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-აბერდინი ................ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ესკიშეჰირი-ტრაბზონი ............... 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სლავია-სლოვაცკო ..................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-პოლონია .......................... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

არსენალი-კარპატი ..................... 4:1

კარპატელთა ბურთი ლევან ყენიამ გაიტანა

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-მიდტიულანდი ............. 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-აიკი ............................. 1:2

ელფსბორგი-დიურგარდენი ......... 2:0

სირიანსკა-ნორჩიოპინგი .............. 3:1

მალმიო-ესტერი ........................ 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰონკა-ჰიკი .............................. 0:2

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

უნიონი-ლანუსი ........................ 0:0

ტიგრე-არხენტინოსი .................. 1:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი ოფი**

ბრუკლინი-ჩიკაგო ..................... 82:90

სერიის ანგარიში: ........................ 1:1

კლიპერსი-მემფისი .................... 93:91

სერიის ანგარიში: ........................ 2:0

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბუფალო-ვინიპეგი ...................... 1:2

დეტროიტი-ფინიქსი ................... 4:0

ოტავა-პიტსბურგი ...................... 1:3

ედმონტონი-ანაჰაიმი ................. 0:3

ვანკუვერი-ჩიკაგო ..................... 3:1

# ფედერაციისა და კალათბურთის განვითარების კავშირის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი თანამშრომლობაზე, ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტი პაატა გურასპაული ხელს მოაწერენ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც განვითარების კავშირს შემდეგი უფლებამოსილება მიენიჭება:

კავშირის ორგანიზებით თბილისის მასშტაბით ჩატარდება ასაკობრივი – 18, 16, 14 და 13 წლამდელთა ჩემპიონატები. ყველა ასაკში გამოვლინდება 8 საუკეთესო გუნდი, რომლებიც უკვე საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ორგანიზებით ჩატარებული ჩემპიონატებიდან შეივსება ის 8-გუნდიანი კვოტა, რომელსაც კალათბურთის ფედერაცია საქართველოს ჩემპიონატისთვის თბილისს უწესებს.

თბილისის განვითარების კავშირი იმ ვეტერანი კალათბურთელების გაერთიანებაა, რომლებიც წლების მანძილზე თამაშობდნენ, შემდეგ კი საქმიანობდნენ ქართულ კალათბურთში. თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირში შემავალი წევრების პროფესიონალიზმი და მათ მიერ წარმოდგენილი ტურნირების ორგანიზების გეგმა მისაღები აღმოჩნდა კალათბურთის ფედერაციისთვის, რის შემდეგაც გადაწყდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

სპორტკომპლექს „არენის“ საპრესკონფერენციო დარბაზში აღნიშნული მემორანდუმის გაფორმების ცერემონიალი გაიმართა. მხარეებმა შემდეგი განცხადებები გააკეთეს:

**ბესიკ ლიპარტელიანი, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აღნიშნულ კავშირში ვეტერანი კალათბურთელები, გამოცდილი ადამიანები შედიან და ვფიქრობ, ისინი სწორედ ისე წარმართავენ საქმიანობას, რაც კალათბურთის სწორი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს. განვითარების კავშირი თბილისის მასშტაბით საკალათბურთო პირველობის ჩატარებას უზრუნველყოფს, რის შედეგადაც შეირჩევა ის 8 გუნდი, რომელიც უკვე საქართველოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. კარგი იქნება, თუკი თბილისის მაგალითს სხვა რეგიონებიც მიმართავენ. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

**პაატა გურასპაული, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტი:**

– კალათბურთის განვითარება ბავშვთა, სასკოლო ასაკიდან უნდა დაიწყოს. დაგეგმილი გვაქვს, ჩავატაროთ რაიონული, საქალაქო პირველობები სხვადასხვა ასაკებში, ხოლო გამარჯვებულები უკვე საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს პირველობა სერიოზული ტურნირია და მასში მონაწილეობა რჩეულმა გუნდებმა უნდა მიიღონ. თბილისში საკმაოდ ბევრი გუნდია. ასე არაა რეგიონებში, მაგრამ ვფიქრობ, ასეთივე პრინციპით უნდა მოხდეს ეროვნული ჩემპიონატებისთვის გუნდების შერჩევა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# იშხანზე შემუშავებული რეკომენდაციები საჯაროა

ეკა ირემაშვილი



**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ცნობილი გახდა, რომ ქართველმა სპეციალისტებმა რეკომენდაციებზე მუშაობა დაასრულეს და უკვე ცნობილია მათ მიერ იშხანზე შემუშავებული რეკომენდაციები.**

**პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, იშხნის სამონასტრო კომპლექსში მყოფი ოფიციალური დელეგაციის წევრები და დარგის სპეციალისტები.**

– იცით, რომ ჩვენი დელეგაცია ჩავიდა ანკარაში, მიზანდარისა და ბოჭოიძის ხელმძღვანელობით, მერე უკვე სპეციალისტები ჩავიდნენ და შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, ყველა რეკომენდაცია, ყველა შენიშვნა გათვალისწინებულია თურქეთის მხარის მიერ და დაიწყო საქმიანი დიალოგი, რაც იმის იმედს იძლევა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ქართულმა დელეგაციამ უკვე მოამზადა რეკომენდაციები, რომელიც ყველა პროცედურის დაცვით ოფიციალურ ანკარაში იქნება გადაგზავნილი. ამ ეტაპზე იშხნის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაოებში უკვე ჩართულნი არიან ადგილობრივი არქეოლოგები და ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების პროცესი გარკვეულწილად მოქცეულია სიძველეთა დაცვის შესაბამის ჩარჩოებში, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ.

– ეს იყო ოფიციალური შეხვედრა ორ მხარეს შორის ადგილზე. ანკარაში შედგა შეთანხმება კულტურის სამინისტროებს შორის, რომ ქართველი სპეციალისტები ჩაერთვებოდნენ ამ პროექტში და ჩამოაყალიბებდნენ რეკომენდაციებს, რომელიც თურქულმა მხარემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება კი აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს ძეგლების სრულყოფილი რესტავრაცია. ასევე აუცილებელია მოხდეს ადგილის გეოლოგიური შესწავლა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩასატარებელია არქეოლოგიური სამუშაოებიც. აუცილებელია ადგილის არქეოლოგიური სამუშაოების უფრო ფართოდ წარმართვაც, ტერიტორიაზე არის ნაყარი მიწა, უნდა მოხდეს ნაყარი მიწის შემოწმება და სამუშაოს თავზე უნდა ადგეს არქეოლოგიც. მას შემდეგ, რაც მოზაიკური იატაკი აღმოჩნდა, მას დააყარეს თხელი მიწა, თუმცა მიწა ვერ დაიცავს იატაკს და მისი დაზიანების სერიოზული საშიშროებაა. ჩვენმა სამინისტრომ რეკომენდაციებში ჩაწერა, რომ უნდა მოხდეს ამ მოზაიკაზე სქელი მიწის საფარის დაყრა. ტერიტორიაზე არის კედლის ფრაგმენტის ნაწილები, რომლებიც იქ ლოდებად ყრია და მასზე გადაფარებულია ცელოფანი, რის შემდეგაც ხდება მათი დანესტვა და დიდი საშიშროებაა რომ ეს ფრაგმენტები მთლიანად განადგურდეს. ქართულმა მხარემ ამ რეკომენდაციებში ჩადო ყველა ის პრობლემა, რაც ძეგლების რესტავრირებისთვის არის აუცილებელი. მიმაჩნია, რომ თურქული მხარე ამ რეკომენდაციებს აუცილებლად გაითვალისწინებს, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა.

12 აპრილს კულტურის სამინისტროს დელეგაცია თურქეთში იმყოფებოდა, სადაც შედგა შეხვედრა თურქეთის კულტურის მინისტრის მოადგილესთან და ორ მხარეს შორის შედგა სიტყვიერი შეთანხმება, რომ მოხდება იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელსაც ქართული მხარე მათ გადაუგზავნის.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ თურქეთში ვიზიტის შემდეგ სფეროს სპეციალისტებთან ერთად იმუშავა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც თურქეთთან სიძველეთა დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით მომზადდა და ანკარის ოფიციალურ მხარეს პროცედურების დაცვით გადაეგზავნება.

– 17-18 აპრილს იშხნის სამონასტრო კომპლექსში ისტორიაში პირველად მოხდა ქართველ და თურქ სპეციალისტთა ერთობლივი შეხვედრა, რომელიც 12 აპრილს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარისა და ჩემ მიერ ანკარაში საგანგებო ვიზიტის შედეგად გადაწყდა. თურქეთის მხარე მზად არის ქართველი სპეციალისტების მიერ დამუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები მიიღოს და გაითვალისწინოს. 17-18 აპრილს იშხნისა და ოშკის სამონასტრო კომპლექსების მონიტორინგისა და საველე პირობებში გამართული შეხვედრების შემდეგ, გადაწყდა, რომ ქართველი სპეციალისტები შეადგენდნენ ძეგლთა დაცვისთვის აუცილებელ რეკომენდაციებს. საგულისხმოა, რომ თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ამჯერად ქართველი და თურქი სპეციალისტების პროფესიული ჯგუფები სიძველის ინტერესებიდან გამომდინარე, იშხნისა და ოშკში განსახორციელებელი სამუშაოების გეგმაზე ერთობლივად იმუშავებენ, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა მერაბ ბოჭოიძემ.

ქართული მხარის თურქეთში ვიზიტისას ართვინის გუბერნიის კულტურის დეპარტამენტის დირექტორმა ჰუსეინ ათეშმა და ერზუმის მხარის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა ქართულ დელეგაციას თანამშრომლობა აღუთქვა და სურვილი გამოთქვა, რომ ეფექტური მუშაობისთვის მომავალში მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა სიძველეთა დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით იყოს გამყარებული.

მხარეები თანხმდებიან, რომ, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ძეგლის დაცვა და მისი პირვანდელი სახით აღდგენა უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება, სიძველეს შეუნარჩუნდეს ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ძეგლის უნიკალურობასა და მხატვრულ-ისტორიულ ღირებულებას განაპირობებს.

– თურქეთ-საქართველოს სიძველეთა დაცვის სფეროს ქართველმა და თურქმა სპეციალისტებმა ორი ქვეყნის ინსტიტუციონალური თანამშრომლობის ფარგლებში თურქეთში ყოფნისას პირველად იმსჯელეს სიძველეების გადარჩენის ერთობლივ მეთოდოლოგიაზე და შემდგომი თანამშრომლობის ახალ ეტაპებზე. კულტურის, ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დელეგაცია საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურ წარმომადგენელთან ერთად, იშხნის სამონასტრო კომპლექსში, ართვინის გუბერნიის კულტურის დეპარტამენტისა ერზუმის მხარის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის დირექტორატს და თურქული კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა ერთობლივად დავათვალიერეთ იშხნის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაოები და ადგილზე პირველი საველე ოფიციალური შეხვედრაც გავმართეთ. მეორე დღეს კი ორი ქვეყნის ძეგლთა დაცვის სფეროს ხელმძღვანელი პირები და სპეციალისტები ოშკის სამონასტრო კომპლექსიც მოვინახულეთ. საქართველოში დაბრუნებულმა დელეგაციამ დაიწყო ვიზიტის ანგარიშის მომზადება, რომელიც ქართველ საზოგადოებას წარვუდგინეთ და ასევე შევიმუშავეთ, თურქეთში არსებული ქართული ძეგლების აღდგენის მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და შენიშვნები მოვამზადეთ, რომელსაც პროცედურების დაცვით, თურქეთის ოფიციალურ მხარეს გადავუგზავნით, – აღნიშნა მერაბ ბოჭოიძემ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის ანკარაში საგანგებო ვიზიტის შედეგად, ორი ქვეყნის ქართველი და თურქი სპეციალისტები სამუშაო შეხვედრა პირველად გაიმართა და იშხნის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე უშუალოდ გაეცნენ. თურქეთ-საქართველოს სიძველეთა დაცვის სფეროს ქართველმა და თურქმა სპეციალისტებმა ორი ქვეყნის ინსტიტუციონალური თანამშრომლობის ფარგლებში, პირველად იმსჯელეს სიძველეების გადარჩენის ერთობლივ მეთოდოლოგიაზე და შემდგომი თანამშრომლობის ახალი ეტაპები ერთობლივად განსაზღვრეს.

– ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ჩასულმა ქართველმა სპეციალისტებმა ყურადღება გაამახვილეს ძეგლზე ჩასატარებელი არქეოლოგიური-კვლევითი სამუშოების აუცილებლობაზე და მის მოცულობაზე, შეაფასეს ტაძრის არქიტექტურული მდგრადობა და მისი კონსტრუქციული გამაგრებისა და აღდგენის მეთოდოლოგიის საკითხებზე შეჯერდნენ. ადგილზე მდგომარეობას დააკვირდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე, ისტორიკოსი პაატა გაფრინდაშვილი და ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსი, ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძე, რომლებიც ორი წელია თურქეთის ტერიტორიაზე იშხნისა და ოშკის ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებენ. ქართულ დელეგაციაში დარგობრივი მიმართულების გათვალისწინებით, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპატრიარქოს ხურთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის წარმომადგენელმა კედლის მხატვრობის რესტავრატორმა მერაბ ბუჩუკურმა. ქართველ სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფს ტაოკლარჯული ძეგლების მკვლევარი ირინე გივიაშვილი დუბლინიდან შემოუერთდა, რომლის დახმარებით თურქეთში არსებული ქართული ძეგლების მდგომარეობა ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა. გადაწყდა, რომ ამჯერად ქართველი და თურქი სპეციალისტების პროფესიული ჯგუფები სიძველის ინტერესებიდან გამომდინარე, იშხანში განსახორციელებელი სამუშაოების გეგმაზე ერთობლივად იმუშავებენ, – განმარტა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

მისივე თქმით, ქართული დელეგაციის მიზანია, თურქეთთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით განხორციელდეს საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი პრინციპები, რომელიც ყველა ქვეყანას მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას ავალდებულებს.

– მხარეები თანხმდებიან, რომ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ძეგლის დაცვა და მისი პირვანდელი სახით აღდგენა უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება, სიძველეს შეუნარჩუნდეს ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ძეგლის უნიკალურობასა და მხატვრულ ისტორიულ ღირებულებას განაპირობებს, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

თურქეთში ვიზიტამდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ და მისმა მოადგილე პაატა გაფრინდაშვილმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას და მის პირველ მოადგილეს მარინე მიზანდარს იშხნის სამონასტრო კომპლექსში ქართული მხარის ჩართულობის გარეშე, დარღვევებით მიმდინარე სამუშაოები გააცნეს. მასალა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის კოორდინატორმა გიორგი პატაშურმა ტელეკომპანია რუსთავი 2-თან ურთიერთთანამშრომლობით მოამზადა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, შეხვედრაზე დაიგეგმა უახლოეს დროში თურქეთში ორი ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაციების გადაუდებელი სამუშაო შეხვედრის გამართვა. მათი განცხადებით, ამ დროისთვის იშხანის სამონასტრო კომპლექსში წარმოებული სამუშაოები დარღვევებით მიმდინარეობს. ქართული მხარის მთავარი ამოცანაა თურქეთის მხარემ დაიცვას საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი პრინციპები, რომელიც ყველა ქვეყანას მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას ავალდებულებს.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა განაცხადა, იშხანთან დაკავშირებული რეკომენდაციები თურქულ მხარეს უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.

– რეკომენდაციებზე მუშაობა პარასკევს დასრულდა და ის გადაეგზავნება თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს. დოკუმენტში დასახელებულია ყველა ის შენიშვნა და რეკომენდაცია, რომელიც უნდა გაითვალისწინონ თურქმა ექსპერტებმა. თურქულ მხარესთან შეხვედრებისას ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ სარესტავრაციო სამუშაოების პროცესში მუშებთან ერთად თურქი ექსპერტებიც ჩაერთვებიან და გაითვალისწინებენ ქართული მხარის რეკომენდაციებს. ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ აუცილებლად გაკეთდეს გეოლოგიური კვლევა. მუშაობა დაიწყო გეოლოგიური კვლევის გარეშე, რაც ძალიან საშიშია ძეგლისთვის. ეს საჭიროა იმისთვის, რომ შემდეგი სამუშაოებისას კონსტრუქტორმა შეისწავლოს ძეგლი კონსტრუქციული თვალსაზრისით. ერთ-ერთი რეკომენდაციაა არქეოლოგიური სამუშაოს უფრო ფართოდ წარმართვა, მათ შორის ნაყარი მიწის შემოწმებაც კი. კიდევ ერთი რეკომენდაციაა სამუშაოებზე არქიტექტორის თავზე დაყენება მუდმივ რეჟიმში. გარკვეულ მონაკვეთებზე მიწის საფარის გასქელება, რადგან მიყრილი მიწის საფარი არ არის არსებული კედლის მხატვრობის კონსერვაცია, რათა შემდეგ მოხდეს კონსერვაცია-რეკონსტრუქცია. ჩვენთვის ასევე სასურველი იქნებოდა, რომ ქართველ ექსპერტებსაც შეძლებოდათ სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება, თუმცა ამისთვის გარკვეული ლეგალური ჩარჩოებია საჭირო, – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

კულტურის სამინისტროში შეკრებილმა საზოგადოებამ გამოთქვა იმედი, რომ თურქული მხარე გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს და ქართველ ექსპერტებს მიეცემათ საშუალება, მონიტორინგი გაუწიონ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს.

შეხვედრის დასასრულს ცნობილი გახდა, რომ პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია 24 აპრილს მედიის წარმომადგენლებს შეხვდება.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სკანდინავიური სახელწოდება; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ფრანგული კომედიური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. მეფეთა რეზიდენცია მადრიდში; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. ტროპიკული ხილი; 15. „შუშანიკის წამებას“ ავტორი; 16. ბეღურასნაირი ოჯახის ფრინველი; 17. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის; 20. ძილის მომგვრელი საშუალება.

**თარაზულად**: 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. თავადაზნაურთა ტიტული ევროპაში; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 13. ლობიოს მსგავსი მარცვლეული მცენარე; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. საერთაშორისო სისხლის სამართლის სამძებრო პოლიცია; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 21. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 23. სპაგეტის დასამზადებლად გამოყენებული იტალიური ყველი; 24. შტატი აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვაქცინა; 2. ბალატონი; 3. მარულა; 4. ფერმი; 5. ვიეტნამი; 8. მაშარაბი; 12. კენი; 13. „რამაიანა“; 14. ორძელი; 16. ლოსიონი; 18. „ლაციო“; 20. ქოცო.

**თარაზულად:** 6. „ნაფტუსია“; 7. კლარნეტი; 8. „მითანა“; 9. დიუმა; 10. დოლომანი; 11. კონკლავი; 15. კარაბინერი; 17. საღამო; 19. ლენქორანი; 21. „დარნიცა“; 22. იაკიტორია; 23. კორპუსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პლანტაჟი; 2. ისტვუდი; 3. ლინზა; 4. ბოლიწო; 5. მერჩული; 10. ხონდრიტი; 11. ქსენოფობია; 12. სტაიერი; 15. ინდონეზია; 16. ალონსო; 17. „ფიდელიო“; 20. ვეკუა.

**თარაზულად:** 6. ალექსანდრია; 7. ბონდერი; 8. აჯამეთი; 9. პანედა; 13. პესო; 14. ესთეტი; 18. დივიდენდი; 19. ჰიუგო; 21. დერბი; 22. კოვბოი; 23. ქონდაქარი; 24. კვარიათი.

# თალიბების თქმით, მძევლებს კარგად ექცევიან

ავღანელი თალიბები ამტკიცებენ, რომ ავარიულად დაშვებული ვერტმფრენის, მი-8-ს ეკიპაჟი და მგზავრები თავს კარგად გრძნობენ, ინფორმაციას „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ წარმომადგენელმა სააგენტოს განუცხადა, რომ მძევლები „ბოევიკების“ ბანაკში გადაიყვანეს; მოძრაობის ხელმძღვანელობამ მათ შემდგომ ბედზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

თავის მხრივ, ავღანეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მძევლების აყვანაზე ინფორმაციის გავრცელებისთანავე, ვერტმფრენის ექსტრემალური დაშვების რაიონში პოლიცია გაიგზავნა, რომელიც „ბოევიკებთან“ ბრძოლაში შევიდა. თუმცა საბოლოოდ წესრიგის დამცველები იძულებული იყვნენ, უკან დაეხიათ, რადგან არმიისგან ან ნატოს საერთაშორისო ძალებისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო.



ავღანური ავიაკომპანიის ვერტმფრენმა მი-8-მ, კვირას ლოგარის პროვინციაში იძულებითი დაჯდომა განახორციელა. შედეგად თალიბების ტყვეობაში აღმოჩნდა შვიდი თურქეთის მოქალაქე, ერთი რუსი (პაველ პეტრენკო, 1956 წელს დაბადებული) და ყირგიზი, ასევე ერთი ავღანელი. ჯერჯერობით, „ბოევიკებს“ მძევლების გასათავისუფლებლად არანაირი მოთხოვნები არ წაუყენებიათ.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, არსებობს საშიშროება რომ მძევლები მეზობელ პაკისტანში გადაიყვანონ.

# ჩელიაბინსკის მეტეორიტის უმცროსმა ძმამ არგენტინელები შეაშინა



ათასობით არგენტინელი უჩვეულო მოვლენის მოწმე გახდა – პირდაპირ მათ თვალწინ ჩაიქროლა ბოლიდმა (მაღალი სიკაშკაშის მეტეორიტი), რასაც თან ახლდა აფეთქება. სანამ ექსპერტები დამწვარი ციური სხეულის მახასიათებლებზე მსჯელობენ, თვითმხილველები საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.

კაშკაშა ბოლიდმა ქვეყნის ჩრდილოეთის ცა კვირას, დაახლოებით დილის ოთხის ნახევარზე გაანათა. უჩვეულო მოვლენაზე დაკვირვება ექვს პროვინციაში იყო შესაძლებელი: სანტიაგოდე-ესტეროში, ტუკუმანში, კორდოვაში, ლა-რიხაში, სანტა-ფეში და ჩიკოში. შუაღამის მიუხედავად, რამდენიმე წამით „ისეთი ნათელი იდგა, როგორც დღისითაა“, – წერს ადგილობრივი მედია თვითმხილველებზე დაყრდნობით.

„სინათლე იყო ძალიან კაშკაშა, თავდაპირველად მწვანე, მერე თეთრი, ხოლო შემდეგ ცეცხლოვანი ბურთი გამოჩნდა. მისი გამოჩენისთანავე თითქოს მიწა შეზანზარდა და გაისმა ხმა, რომელიც ჩვეულებრივად თან სდევს აფეთქებას“, – ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

დანარჩენი არგენტინელები ყვებოდნენ, რომ აფეთქებას წინ უსწრებდა ძაღლების ყეფა; ბევრი იმასაც ფიქრობდა, რომ მათ ძარცვავდნენ და ქუჩებში გამოვიდნენ. ადამიანები ასევე ბარებიდან და კლუბებიდან გამოდიოდნენ, სადაც დასვენების დღეს ატარებდნენ. მოვლენა სოციალურ ქსელებში მაშინვე ნომერ პირველი თემა გახდა.

ამასობაში, გამოჩნდნენ არგენტინელები, რომლებმაც აფეთქების გადაღება მოახერხეს. თვითმხილველების მიერ გაკეთებულ ჩანაწერებში ჩანს თუ როგორ ანათებს „ცეცხლოვანი ბურთი“ სახლებს, გზებს და სტადიონსაც კი, სადაც კონცერტი მიმდინარეობს.

არგენტინელების განმაცვიფრებელი მოვლენა სანტა-ფეს ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორმა ხორხე კოგლანმა შეაფასა. მისი თქმით, მცხოვრებლებს შეიძლება დაენახათ ბოლიდი, რომელიც მიფრინავდა საათში 130 კილომეტრი სიჩქარით და 65 კმ. სიმაღლეზე დაიწვა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ თვითონ ციური სხეული დიდი ზომის არ ყოფილა – მხოლოდ 20 სანტიმეტრს შეადგენდა, – იტყობინება რადიო „სანტა ფე“.

ასე რომ, იგი „მოკრძალებული ნატეხია“ ბოლიდისა, რომელიც ჩელიაბინსკის თავზე თებერვალში აფეთქდა. ჩელიაბინსკის ოლქში 17 მეტრი დიამეტრის მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად 1600-ზე მეტი ადამიანი დაზარალდა, ტალღისებურმა დარტყმამ 7 ათასი შენობა დააზიანა.

# ჩრდილოეთი კორეა ბირთვული ქვეყნის სტატუსს ითხოვს

ჩრდილოეთ კორეა აშშ-ის შეთავაზებებზე არ რეაგირებს და ქვეყნისთვის ბირთვული სტატუსის მინიჭებას ითხოვს. აშშ-მ ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეას სანქციების მოხსნის სანაცვლოდ მოუწოდა, მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ ის ბირთვულ იარაღის გამოყენებაზე უარს ამბობს, თუმცა საპასუხოდ ამ შეთავაზებაზე უარი მიიღო.



თეთრი სახლის წარმომადგენელთა განცხადებით, ფხენიანთან მოლაპარაკებებს მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, როცა ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღით მუქარას შეწყვეტს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ჩრდილოეთ კორეამ მესამე ბირთვული ცდაა ჩაატარა, მოგვიანებით კი მოწინააღმდეგეებს ბირთვული იარაღით დაემუქრა.

ცნობისთვის, არსებობს რვა ქვეყანა, რომლებმაც წარმატებით მოახდინეს ბირთვული იარაღის დეტონაცია. ეს ქვეყნებია შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი/რუსეთი, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი და ჩრდილოეთ კორეა. ფართოდ მიჩნეულია, რომ, ისრაელსაც აქვს ბირთვული იარაღები, თუმცა ისრაელი ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს და ზუსტად არაა ცნობილი, მან მოახდინა თუ არა ბირთვული ტესტირება.

ქვეყნები, რომლებიც ცნობილია ან ითვლება რომ, აქვთ ბირთვული იარაღები, ზოგჯერ იწოდება ბირთვულ კლუბად.

სამხრეთ აფრიკას აქვს უნიკალური სტატუსი, ქვეყნისა, რომელმაც შექმნა ბირთვული იარაღი და შემდგომ დაშალა ისინი.

1985 წელს არსებული 68 000 აქტიური ბირთვული იარაღიდან, მათი რაოდენობა დღეისათვის, დაახლოებით 4100 აქტიურ ბირთვული ქობინამდე, ხოლო მთლიანობაში (არააქტიურის ჩათვლით) 17 000-მდე შემცირდა.

მსოფლიოში, პირველი ქვეყანა, რომელმაც ბირთვული იარაღი შექმნა, იყო შეერთებული შტატები, რომელმაც, მეორე მსოფლიო ომში, გაერთიანებულ სამეფოსთან და კანადასთან ერთად, მანჰეტენის პროექტის დროს, შექმნა ის, იმის შიშით, რომ, ნაცისტური გერმანია შექმნიდა მას და გამოიყენებდა მათ წინააღმდეგ. ასევე, შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც გამოიყენა ომში, ბირთვული იარაღი, სხვა ქვეყნის წინააღმდეგ.

ქვეყანაში არსებული ბირთვული იარაღების ზუსტი რაოდენობა ქვეყნის მკაცრ საიდუმლოებას წარმოადგენს და ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში, ცდომილება შესაძლოა დიდი იყოს. ამასთანავე, შეერთებული შტატები და რუსეთი, შედარებით გამჭვირვალე ბირთვული სახელმწიფოები არიან, მაშინ როცა ჩრდილოეთ კორეა ძალიან ასაიდუმლოებს ინფორმაციას.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# მოსახლეობა ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვის გაცემას ეწინააღმდეგება

თბილისის მერიასთან უფლებადამცველ ლაშა ჩხარტიშვილმა და მოსახლეობამ ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაღის ტერიტორიაზე გაცემული სამშენებლო ნებართვის გაუქმების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც ჩხარტიშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, აღნიშნული ტერიტორია ეკოლოგიური მნიშვნელობისაა. ფართობი კი 2 ჰექტარს შეადგენს და მერიის მხრიდან მიუღებელია სამშენებლო ნებართვის გაცემა.

როგორც ჩხარტიშვილმა აღნიშნა, ამ დრომდე მერიის მხრიდან პასუხი არ მიუღიათ და აღნიშნული საკითხით არც დაინტერესებულან. მერიას ამ კუთხით კორუფციული ინტერესები ამოძრავებს.

ცნობისთვის: თბილისში, ასათიანის ქუჩაზე ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობა უკვე 2 წელია გასხვისებულია. ტერიტორიაზე კი კერძო ინვესტორი მერიის მიერ ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვის გაცემას ელოდება.

*მედიანიუსი*

# გია ბარამიძე ფონდ „ღია უკრაინის“ მიწვევით კიევში იმყოფებოდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ბარამიძემ, ფონდ „ღია უკრაინის“ მიწვევით, კიევის საერთაშორისო მე-6 უსაფრთხოების ფორუმის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა და უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა.

კონფერენციაში მონაწილეობას უკრაინის მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები იღებდნენ. მათ შორის, უკრაინის ენერგეტიკის მინისტრი იური ბოიკო და უკრაინის პარლამენტის მთავარი ოპოზიციური პარტიის „ბატკივშინას“ ფრაქციის თავმჯდომარე არსენი იაცენიუკი, ასევე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნების 400-მდე წარმომადგენელი, ევროპარლამენტისა და ეროვნული პარლამენტების და მთავრობის წევრები იყვნენ წარმოდგენილი.

ფორუმის ფარგლებში, შავი ზღვის რეგიონსა და ევროპაში, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში თანამედროვე გამოწვევები განიხილეს.

*ნიუსპრესი*

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ნანა, რეზო და თამაზ თევზაძეები, რძლები მერი თევზაძე და თალიკო ბოლქვაძე, სიძეები ზურა იობაშვილი, ლევან კერვალიშვილი, შვილიშვილები სოფო, დავით იობაშვილები, ირაკლი, თეა თევზაძეები, ძმისშვილები ლია, გია, ქეთევან, მარინა, მაია და მამუკა ქორიძეები ოჯახებით, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ლენა ქორიძე-თევზაძისა**

პანაშვიდი: 23, 24 აპრილს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 25 აპრილს, 15 საათზე.
მისამართი: ჭავჭავაძის №62, IV სადარბაზო (შემოსასვლელი ბერძენიშვილის ქუჩიდან), V სართული.

---

ციალა და დათო ჭუმბურიძეები, მანანა, ირაკლი, რუსუდან ტყეშელაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავის

**ბადრი (ირაკლი) სერგოს ძე ბახტაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი, ეკა დავითაშვილი, ერეკლე უგრელიძე უსაზღვრო გულისტკივილით თანაუგრძნობენ თეიმურაზ, ნელი და თემურ ხუნწარიძეებს ძვირფასი მეუღლისა და დედის, უსაყვარლესი მეგობრის

**დოდო საყვარელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მალინა ქართველიშვილი, შვილები სოსო, თამარ გეჯაძეები, რძლები ელენე შაფაქიძე, ლია გაგაძე, ნინო ფალავა, შვილიშვილები ბესო, ირაკლი და ნიკა გეჯაძეები, შვილთაშვილები იკო და ირინა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ბესარიონ ნიკოლოზის ძე გეჯაძე**

პანაშვიდი: 23, 24 აპრილს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 25 აპრილს, 15 საათზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, IV კვარტალი, 3ბ კორპუსი, III სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 24 აპრილი**

06.30 „მოამბე„(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„(პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„— მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„(პ/ე) 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ„ 21.00 ტ/სერ. „ბორჯია„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი„ 01.20 დ/ფ „ტვინი სარკეში„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე„ 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„I ნაწ. 16.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამიწამ„I ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ„

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 ოტელო – სიყვარულის ცეცხლი 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 15 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „საათის მექანიზმი„ 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 22.40 ჩემპიონთა ლიგა 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ადამიანთა სევდა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ვ.ჰოროვეცი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ IV-V ნაწ. 16.45 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „აკაკის აკვანი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ I ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „საბრალონი„ I ნაწ.

**მაესტრო** 7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 აპრილი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6567 |
| ევრო | 2,1676 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2660 |

**ამინდის პროგნოზი 24 აპრილისთვის**




# მანანა ბერიკაშვილი ლევილში ჩავიდა

კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კოტე სურგულაძესთან ერთად საფრანგეთში ვიზიტით იმყოფებოდა. ქართული დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში, 18 აპრილს, საქართველოს საელჩოში ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით გამართული კომისიის სხდომით დაიწყო.

როგორც „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროდან აცნობეს, კომისიის ხელმძღვანელი კოტე სურგულაძე შეხვდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის შთამომავლებს ირენ ციციშვილს, ეთერ ფაღავას, ტიერი ბერიშვილს. კომისია ამ შემადგენლობით, სადაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეც შევიდა



პირველად შეიკრიბა საკითხზე, რომელიც წლების განმავლობაში გადაუჭრელი რჩებოდა. შემადგენლობაში იყვნენ დიასპორის მინისტრის მოადგილე მუხრან გულაღაშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი გოჩა ჯავახიშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და ლევილის მამულის (ზევით ჩამოთვლილი) ამჟამინდელი მფლობელები. სხდომაზე ხაზი გაესვა ორივე

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# 29 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად ახალი სერია

## ქართული ფენომენი

ტომი I

## თეკლა ბატონიშვილი

ახალი სერიის, „ქართული ფენომენის“ პირველი ისტორიული პერსონაჟი თეკლა ბატონიშვილია – უმცროსი და უსაყვარლესი ასული ერეკლე მეორისა. ქალი, რომლის ოჯახის დრამამ აირეკლა საქართველოს სამეფოს გაუქმების დროინდელი ყველა კონფლიქტი.

მისდამი მიძღვნილი წიგნი ეკუთვნის ისტორიკოსს, რომელმაც მთელი ცხოვრება XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას შეალია.

პროფესორ იოსებ უთურაშვილის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოკვლევასთან დაწყვილებულია თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟის – XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამორჩეული მოღვაწისა და მწერლის – ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები, რომლებმაც გაამდიდრა პროფესიონალი ისტორიკოსის მონათხრობი.




# მანანა ბერიკაშვილი ლევილში ჩავიდა



## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 24 აპრილისთვის

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **ტყუპები** – ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **კირჩხიბი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის. **ლომი** – ფულს იშოვით და ყველა პრობლემას მალე მოაგვარებთ. **ქალწული** – არ ჩაერთოთ კონფლიქტურ სიტუაციაში, რაში გჭირდებათ დავიდარაბა. **სასწორი** – მოერიდეთ უცხო პირებს, არ ენდოთ მათ. **მორიელი** – მალე კარგ სამსახურს შემოგთავაზებენ და ვალებს გაისტუმრებთ. **მშვილდოსანი** – შეიცვალეთ იმიჯი, იაქტიურეთ. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ, ცოტა მაინც დაისვენეთ. **მერწყული** – საქმე კარგად მიდის, დაჯილდოვდებით. **თევზები** – არ წამოეგოთ პროვოკაციაზე, მშვიდად იყავით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. შხამიანი გველი; 4. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. ძალზე პატარა ტანის ადამიანი; 8. სწორკუთხა, უგუმბათო ქრისტიანული ტაძარი; 12. მდგომარეობა ჭადრაკში; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ინდიელთა ვიწრო, გრძელი ხის ნავი; 16. ჭადრაკის ფიგურა; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

**თარაზულად**: 6. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ფუძემდებელი; 8. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. მოვარდნილი წყალი; 11. ჩვილი ბავშვის საფენი; 15. გულისცემის აჩქარება; 17. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. პატეფონის ერთ-ერთი ნაირსახეობა; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# ცირკის არენიდან გაქცეულ ვეფხვს ამერიკელი ტუალეტში წააწყდა

ამერიკელ ჯენა კრიბელს ცირკში პირველი ვიზიტი დიდხანს ემახსოვრება. საეჭვოა, აქამდე ასეთ სიახლოვეზე ენახე ვეფხვი, გალიაში გამოკეტილი რომ არ ყოფილიყო. მაყურებლის პირადი თვისებები რომ არა, გაქცეულ ცხოველთან მოულოდნელი შეხვედრა შესაძლოა ტრაგედიით დასრულებულიყო.

კანზასის შტატის, ქალაქ სალინის მცხოვრებს, რომელიც საცირკო შოუზე თავის სამი წლის გოგონასთან ერთად მივიდა, არ ესმოდა ორგანიზატორების განცხადება, რომ ერთ-ერთი ვეფხვი გაიქცა. ის ვეფხვების ნომრის დასასრულამდე ცოტა ხნით ადრე გვერდით გავიდა, სწორედ მაშინ, როდესაც მტაცებელმა მოულოდნელად სცენა დატოვა და გაურკვეველი მიმართულებით გაექანა.

ცხოველის გაქცევა თვითმხილველებმა გადაიღეს და იუთუბზე განათავსეს. ჩანაწერზე ჩანს, როგორ მისდევს გიგანტურ კატას მწვრთნელი, ხოლო ფონად ისმის, როგორ სთხოვენ მაყურებელს ადგილზე დარჩენას.

როგორც გაირკვა, ვეფხვი და კრიბელი ერთი მიმართულებით, საპირფარეშოსკენ მიემართებოდნენ. ცირკის თანამშრომლებმა მაშინვე გადაღობეს ტუალეტში შესასვლელი კარი, მაგრამ იქ კიდევ ერთი ღია შესასვლელი რჩებოდა. სწორედ ის გამოიყენა ქალმა.

„მე არ ვიცოდი, რომ ის ტუალეტში იყო. გავაღე კარი და დავინახე ვეფხვი, ნახევარი მეტრის სიშორეზე იყო. ფრთხილად შემოვბრუნდი და ნელ-ნელა უკან წავედი. ამ მომენტში პერსონალიდან ვიღაც უკვე ყვიროდა, რომ იქიდან გამოვსულიყავი“, – ამბობს კრიბელი.

ვეფხვმა ქალი შეაშინა, თუმცა, მისი თქმით, ეს არ იყო საცირკო ნომერში მონაწილე ყველაზე დიდი მტაცებელი, ის დაახლოებით 130 კილოგრამს იწონიდა. მიუხედავად ამისა, ის პანიკაში არ ჩავარდნილა და ცხოველის ყურადღება არ მიუქცევია.



„მე სოციალურ მუშაკად ვმუშაობ. მასწავლეს, რომ ყოველთვის ფორმაში, მოწოდების სიმაღლეზე უნდა ვიყო. გამოსვლისას უკან არ გამიხედავს, ეს იყო საშინელი გამოცდა. ყველაფერი, რაზეც ამ დროს ვფიქრობდი, აქაურობის სასწრაფოდ დატოვება იყო“, – განმარტავს საკუთარ ქცევას კრიბელი.

დაწესებულების მენეჯერი ქალის სიმამაცით გაკვირვებულია. „მე ეს პირადად არ მინახია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, კრიბელი მართლაც შეეფეთა ვეფხვს პირისპირ. ოთახის სიგრძე ხომ სულ შვიდი მეტრია. ყოველივე ძალიან საშიში იქნებოდა“, – განაცხადა კრის ბერდმა. მან დაამატა, რომ ვეფხვი მალევე დაიჭირეს და გალიაში დააბრუნეს.

თავად კრიბელი, რომელიც ცირკში პირველად იყო, დარწმუნებული არაა, რომ კიდევ მოვა შოუზე. „შემთხვევითი არ არის, რომ ზოოპარკებს ვარჩევ, სადაც ცხოველები გალიებში სხედან“, – ხუმრობს ქალბატონი. **გ. მ.**

# ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია რუსეთში იმღერებენ



ქართველი მომღერლები ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადს ესტუმრებიან და 25-26 აპრილს დაგეგმილ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც სტალინგრადის გათავისუფლების 70 წლის იუბილეს ეძღვნება.

როგორც გავრცელდა ინფორმაცია, ეს მომღერლები ვოლგოგრადში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის თბილისში მოქმედი „რუსული კლუბის“ ხელმძღვანელმა ნიკოლაი სვეტნიცკიმ შეარჩია. მათთან ერთად ვოლგოგრადში ქართული დელეგაცია მიემგზავრება, რომელშიც ერთი ვეტერანიც არის წარმოდგენილი.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ღონისძიების ორგანიზებაში არც მეტი, არც ნაკლები რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც არის ჩართული. „ახალმა თაობამ“ ინფორმაციის გადამოწმება თავად „რუსული კლუბის“ პრეზიდენტთან ნიკოლაი სვეტნიცკისთან სცადა, თუმცა მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ამ საკითხზე განმარტება გააკეთა „რუსული კლუბის“ წარმომადგენელმა ალექსანდრე სვატიკოვმა:

– ეს არის ყოფილ ვოლგოგრდაში ანუ სტალინგრადში დაგეგმილი ღონისძიება, რომელიც სტალინგრადის გათავისუფლების 70 წელს ეძღვნება. იქ მიემგზავრებიან ვეტერანების ჯგუფი და ქართველი მომღერლები. საქართველოდან მხოლოდ ერთი ვეტერანი მიდის, რადგან ისინი უკვე ასაკში არიან და მათმა ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს ამ სიშორეზე გამგზავრებაზე. საქართველოს გარდა, ამ ღონისძიებაში სხვა ქვეყნების დელეგაციებიც მონაწილეობენ.

*– ქართული მხარიდან ამ ღონისძიებაში ჩართულია „რუსული კლუბი“?*

– კი.

*– იმედია ამაზეც არ ატყდება ერთი ამბები, მოღალატეებიო და ა.შ.?*

– ატყდეს, რა პრობლემაა. სტალინგრადის გათავისუფლება არის დიდი მოვლენა და ამ ბრძოლაში ბევრი ქართველი დაიღუპა.

*– როდის დაბრუნდება ქართული დელეგაცია საქართველოში?*

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ძიუდოისტები უნგრეთში გაემგზავრნენ




გუშინ საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები 25-28 აპრილს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა.

ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა – ირაკლი უზნაძემ 12 ძიუდოისტი იახლა, რომელთა შორის 9 ინდივიდუალურ შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას, 3 ძიუდოისტი კი ნაკრებს გუნდური პირველობისათვის დაემატება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არიან ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი და 2012 წლის ევროპის ჩემპიონი ვარლამ ლიპარტელიანი. ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისათვის მოსამზადებელი შეკრება ყვარელში გაიარა.

საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატზე ასეთია: ამირან პაპინაშვილი (60), ლაშა შავდათუაშვილი (66), ზებედა რეხვიაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური (ორივე 81), ვარლამ ლიპარტელიანი (90), დავით ლორიაშვილი (100), ადამ ოქრუაშვილი (მძიმე).

გუნდურ შეჯიბრში ნაკრებს დაემატებიან: შალვა ქარდავა (66), ზვიად გოგოჭური (90), ონისე ბუღაძე (მძიმე).

25 აპრილს 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძიუდოისტები იჭიდავებენ, 26-ში – 73 და 81კგ, 27-ში – 90, 100 და მძიმე წონითი კატეგორიები, ხოლო 28-ში გუნდური შეჯიბრი გაიმართება.

**მ. ჟ.**